საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი 26 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი მეღირებ 10 მანეთი განცხადებათ ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. ნეკროლოგიური განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 243 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 243

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტიული)

ხუთშაბათს ოქტომბრის 28-ს

ხუთშაბათს ოქტომბრის 28-ს

დავით კლდიაშვილის პიესები

„დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“

ახალი დეკორაციებით, ტანისამოსით და მიზანსცენებით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გამოუთქმელი მწუხარებით გულჩახვეული მეუღლე პეტრე იოსების-ძე შვილები: ვალიჩკა და ლენოჩკა ზუბაძისა, ძმა ვლადიმირი, დები: ნინა და ალექსანდრა ფანცულაია ვაუწყებთ ნათესავთ—ნაცნობთ

ვარვარა (ბაბილინე) როსტომის ასული-ზუბაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათისთვის ს ქუჩა №3 დასაფლავება ოთხშაბათს კუკიის სასაფლაოზე 3 საათზე. (3442—2—1)

ექიმი ანტონ ქორქოლიანი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ რუსეთში ტრაგიკულად და უდროოთ გარდაიცვალა მისი ნათლული ახალგაზრდა

მიხაკო გიორგისძე გორდელაძე

(3443—2—1)

გულ-მოკლული მეუღლე სარა ნიკოლოზის ასული, ქალები: ჟოზეფინა, თამარ, ქენია და ლილი, ვაჟები: ჟორჟიკა, შალვა და ლუტა, და დოსია, ძმები: ალექსანდრე, ბიქტორი და ჯიუ მეუღლეებითურთ და სიძენი: რამინ ჩიქოვანი, ქიშვარდი ჯაფარიძე, ლადო გეგეჭკორი და ერმილე გაბიაი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ მათი ნუგეშის და აღმზრდელი მამის, დაუვიწყარი

ექიმის ასლან გიორგის ძის შელოვანის

გარდაცვალებიდან წლის თავზე, სამშაბათს 26 ოქტომბერს, სოფ. ახალ-ჰალას (ლეჩხუმში) საგვარეულო ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი. (3446—1—1)

გულმოკლულნი: დედა მელანია ახობაძისა, ძმა არქიფო ახობაძე, დები: თებრონე კიკაბიძისა და კატო ახობაძე, სიძე ივანე კიკაბიძე შვილებით უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროვოდ ჩაიფერფლა ახალგაზრდა და ენერგიით სავსე სახალხო მასწავლებელი

ანიჩკა ახობაძე

დასაფლავება მოხდება ქ. სამტრედიაში ჯვარცმის ეკლესიის გალავანში, სამშაბათს 26 ოქტომბერს. (3444—1—1)

წაიკითხეთ!
„ა. ნ. ტერ-არუთინოვის და კომპ.“ სავაჭრო სახლში თავისუფლების (ერევნის) მოედანი, ქალაქის სახლი გაიხსნა

საკომისიონერო განყოფილება

და მიიღება გასაყიდათ ყოველგვარი საქონელი, ძვირფასეულობანი და საოჯახო ნივთები. იქვე იყიდება რკინის კასა წონით 100 ფუთამდე. (3440—2—1)

განახლებულ
სახალხო უნივერსიტეტში
პლეხანოვის პრ. № 123. მეცადინეობა დაიწყება ამა წლის 1 ნოემბერს. გამგეობა მოუწოდებს მშრომელ მასსას მსმენელებად ჩაეწერონ. ყოველი დაკარგული დღე მსურველს ცოდნის შეძენას გაუძნელებს. სწავლა უსასყიდლოა და ლექციები მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით წაიკითხება.
გამგეობა. (3438—3—1)

სახელმწ. თეატრი.
ოპერა.
26 ოქტომბერს
კარმენი
27 ოქტ. აბესალომ და ეთერი. 28. ოქტ. მეფის საცოლე. დასაწყისი სრულ 8 საათ. სალ. ოპერის დირიჟორი ს. ი. ეულახიშვილი. (ნ. 1—1)

ბათომის ქალაქის თვითმართველობა
სამსახურში იწვევს სამ უნნის
მორიგებელ მოსამართლეს
თხოვნები და საბუთები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე. მოსამართლეებს საბჭო ირჩევს. (ნ. 3—2)

კახეთის კოოპერატიულ დაწესებულებათა კავშირი ა/წ. 1 ნოემბრიდან ქ. თელავში ხსნის მოკლევადიან
საოპერაციო კურსებს
მიიღებიან როგორც კოოპერაციაში მომუშავენი, ისე გარეშე მსურველნიც. სწავლა უსასყიდლოა. კავშირის გამგეობა. (3444—1—1)

1 ნოემბერს, საღამოს 6 ს. ცენტ. კომიტეტის ბინაში დანიშნულია
საკანტროლო კომისიის სხდომა
წევრების დასწრება აუცილებელია. კომისიის წევრებს ევალებათ მოხსენებების წარმოდგენა.
პრეზიდიუმი. (2—1)

სახალხო გვარდიის ყრილობა

წუნარად, უხმაუროდ გაიხსნა 24 ოქტომბერს სახალხო გვარდიის ყრილობა. საზეიმო და სადღესასწაულო ხასიათი არ ატყვია მის გახსნას. პირიქით, საქმიანობას და ყოველდღიური პროგრამას პირველი ადგილი უჭირავს ყრილობაზე. ეს ასეც უნდა იყოს. სახალხო გვარდიამ უკვე გაიარა ის ხანა, როდესაც მისი საჭიროება, სარგებლობა და თვით არსებობა სადავო იყო ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ წრეებისთვის. დღეს იგი ყველას მიერ ცნობილია. დღეს იგი ჭეშმარიტათ „სახალხოა“, რადგან მისი დამსახურება და მისი ღვაწლი მთელი ერის მიერ საყოველთაოდ აღიარებულია. გვარდიის ორგანიზაციულად მოწყობა დღეს უკვე დასრულებულია. იგი შედის თავის არსებობის მეორე ხანაში, თვით კრიტიკის, თვითგანწმენდის ხანაში. მას უკვე შეუძლიან უკან მოიხედოს მის მიერ განვლილ გზაზე, ასწონ-დასწონოს თავისი ნამოქმედარი, აიცილოს ის, რასაც შეცდომათ ჩასთვლის, გააძლიეროს ის, რასაც გამარჯვებათ მიიჩნევს, გააფართოვოს თავისი მუშაობის ფარგალი, გამონახოს ახალი გზები იმ დემოკრატიზმის გასამაგრებლად, რომელიც შექმნილია სახალხო გვარდიის წარმომშობი კლასის მიერ.

ჩვენი პროლეტარიატის მოწინავე რაზმი უდგია სათავეში სახალხო გვარდიას. ამიტომ პროლეტარული იდეოლოგიის ბეჭედი აზის მის საქმიანობას. პროლეტარულად მუშაობს მისი აზრი და პროლეტარულია მისი მოქმედების გეგმა. სახალხო გვარდია ძირითადათ განსხვავდება იმ ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალისაგან, რომელიც წარმოშვა კაპიტალისტურმა ქვეყანამ: თუმცა იგი შეიარაღებულია, მაგრამ იგი სრულიად მოკლებულია მილიტარიზმს;— თუმცა იგი მეომარია, მაგრამ იგი მთელი თავისი არსებით მშვიდობიანია. მის მიერ იარაღის ხელში აღებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: იმ საერთო დაქსაქსულობაში და მძლევრივ ერთმანეთის ჟლეტაში, რომელსაც განიცდის მთელი ქვეყანა, დაიცვას და გადაარჩინოს ის, რაც დემოკრატიისათვის სანუკვარია. ზედმიწევნით სწორეა ის სიტყვები, რომლითაც ერთმა ორატორმა დაახასიათა ჩვენი სახალხო გვარდია მის უკანასკნელ ყრილობის გახსნის დღეს: „სახალხო გვარდიას ერთ ხელში უპყრია ხმალი, მეორეში ჩაქუჩი“. როგორც კი გამოჩნდება საფრთხე რესპუბლიკის რომელიმე მხრიდან, ჩვენი დემოკრატია მაშინვე ხმალს ჰკიდებს ხელს, და როგორც კი რესპუბლიკას თავიდან აიცილებს საფრთხეს, იგი მაშინვე თავის „ჩაქუჩს“ უბრუნდება. თვით ფრონტზე ყოფნის დროსაც კი არ ჩერდება შეიარაღებული დემოკრატიის გონების პროლეტარული მუშაობა. ძლიერ საყურადღებო და დიდი იმედების აღმძვრელია მისი მშვიდობიანი მუშაობის ორი დარგი, რომლებზედაც მიგვითითა თავის მოხსენებაში გვარდიის მეთაურმა ამხ. ვ. ჯუღელმა: ჩვენ სახეში გვაქვს 1) კულტურულ განმანათლებელი მუშაობა, რომელიც გაჩაღებულია გვარდიაში და 2) ყარაიაზის მინდვრის კოლექტიური დამუშავება.

გვარდიის კულტურულ - განმანათლებელმა განყოფილებამ თვალსაჩინო მუშაობა გააჩაღა გვარდიის ყველა ნაწილებში. იმის წყალობით შეიქნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც გვარდიის წყებებში ყოფნა მოქალაქისათვის არ არის მხოლოდ სამხედრო სამსახური. გვარდია დღეს ერთნაირი განმანათლებელი დაწესებულებაა, სადაც ის მოქალაქენი, რომლებსაც სკოლის კედლები არ უნახავთ, პირველ დაწყებითს ცოდნას იძენენ, და ისინი კი, ვისაც ეს ცოდნა აქვთ მიღებული, უფრო მაღალ საფეხურის განათლებას იღებენ. მომავალში განზრახულია იმდენათ გაძლიერდეს ეს კულტურულ განმანათლებელი საქმიანობა, რომ გვარდია გადაიქცევა ერთ-ერთ დაწესებულებათ, რომელიც საყოველთაო სახალხო განათლების განხორციელებას ემსახურება.

კიდევ უფრო საყურადღებო და ახალი საქმეა გვარდიის მიერ ყარაიაზის მინდვრის დამუშავება. მიზანი, რომელსაც გვარდია ისახავს, მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს შეუმსუბუქოს მძიმე საქმე სამხედრო ძალებისათვის სურსათ-სანოვაგის შოვნისა. სახ. გვარდიამ კარგათ შეიგნო, რა მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფოს შენახვა და გამოკვება მეტად დიდი არა-მწარმოებელი ძალებისა და უპირველეს ყოვლისა სამხედრო ძალებისა. დემოკრატიული სახელმწიფოს ნატვრაა—რაც შეიძლება შემცირდეს არა-მწარმოებელი ძალები და რაც შეიძლება გამრავლდეს მწარმოებელთა რიცხვი. და გვარდიას დაბადებია აზრი—არსებითად არა მწარმოებელი და მხოლოდ მომხმარებელი და მხარჯველი სამხედრო ძალა რამდენათმე მაინც გადააქციოს მწარმოებელ ძალათ და სახელმწიფოს ჩამოაშოროს მისი კვება-რჩენაზე ზრუნვა მაინც. ამ მიზნით იყო დახნულ-დათესილი ყარაიაზის მინდორი. სამწუხაროდ, ადერბეიჯანის მხრივ ატეხილმა ომმა გვარდიას ხელი შეუშალა ამ მშვიდობიან მუშაობაში. მაგრამ რაკი აზრი დაიბადა, აშკარაა, იგი ფეხს მოიკიდებს, გვარდიის ყველა ნაწილებში ჰპოებს გამოძახილს და სახალხო გვარდია მომავალში გადაიქცევა არა მარტო დემოკრატიული სამშობლოს დამცველ სამხედრო ძალათ, არამედ მასთან ერთად იმ ძალათ, რომელიც მოწოდებულია ბრძოლასა და ბრძოლას შუა დარჩენილი თავისუფალი დრო გამოიყენოს საჭირო საგნების შექმნაზე იმ საშინელი კრიზისის გასანელებლად, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას საფრთხეში აგდებს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დღევანდელი ყრილობა, გარდა სხვა მხარეებისა, აღნიშნულ მხარეებსაც სათანადო ყურადღებით მოეპყრობა და ბევრს რასმე მიაღწევს, როგორც კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გაძლიერებაში, ისე იმ კოლექტივისტური წარმოების გაფართოებაში, რომელსაც საფუძველი ყარაიაზის მინდორში ჩაეყარა.

პროვოკატორები

როგორც შიგნით, ისე გარეთ, დროგამოშვებით ვრცელდება სხვადასხვა ჭორები, ხშირათ ისეთი პოლიტიკური ხასიათის, რომ ავტორების მიზანი ყველასათვის აშკარა ხდება. მათი მიზანია— შექმნან ჩვენს გარშემო ისეთი პირობები, რომლებიც კიდევ უფრო გაამძიმებს ისედაც მძიმე ატმოსფეროს, გამოიწვიონ გართულება მეზობლებთან დამოკიდებულებაში და ამ ნიადაგზე შექმნილი მდგომარეობით თავისი შავი ზრახვანი შეძლებისდაგვარათ გაანაღდონ.

ჩვენ ვიცით, რომ წინათ თფილისში არსებობდა მთელი ჯგუფი, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ყოველ დღე ახალ-ახალი პოლიტიკური ხასიათის პროვოკატორული ხმების გავრცელება. ამისთვის შესაფერი ორგანიზაციაც ჰქონდათ და მათი აგენტები განსაზღვრულ ჯილდოსაც იღებდენ. ამ პროვოკატორთა მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიური იყო იმ ეთ მომენტებში, როცა ჩვენი ქვეყანა კრიტიკულ მდგომარეობაში ვარდებოდა გარეშე მტრების შემოსევის გამო. ენერგიულმა ზომებმა პროვოკატორთა ჯგუფი აღგავა და მათ თარეშს სასტიკი ხელით საზღვარი დაედო. ახლა, როგორც ეტყობა, ხელახლა იწყება ასეთი პროვოკატორული თარეში. ამის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს, სხვათა შორის, ის ხმები, რომლებიც რამდენიმე დღეა ქალაქში ტრიალებს და ათასნაირ მითქმა-მოთქმას იწვევს. ესაა ხმები ბათომის ვითომდა ოკუპაციის შესახებ ინგლისელების მიერ. ვითომ ჩვენი მთავრობა ამ ნიადაგზე მოლაპარაკებასაც აწარმოებდეს. რასაკვირველია, ეს ხმები სრული სიცრუეა და შავი განზრახვით არის გამოწვეული, მარა პროვოკატორებს ხომ სიმართლე არ აინტერესებთ! მათი მიზანია დაიჯერონ ვინმე ვინმეები, რომ საქართველოს მთავრობა ინგლისის იმპერიალისტებს უთანხმდება, ხელს უწყობს რაღაც გეგმის სისრულეში მოყვანას და რომ ეს გეგმა მიმართულია ამა თუ იმ მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. პროვოკატორები ჰფიქრობენ, რომ ამ ნიადაგზე მოხდება ესა თუ ის გაუგებრობა და გახდება მიზეზი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გართულებისა, რასაც ისე შენატრიან ჩვენი დაუძინებელი მტრები.

ასეთი პროვოკატორების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სასტიკი ზომები და როგორც წინათ, ისე ახლაც, მათი შავი ზრახვები მკაცრათ აილაგმოს. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა მოითხოვს სრულ სულიერ სიმშვიდეს, რომელსაც ასე არღვევს და აფორიაქებს ყოველგვარი ასეთი ხმები და მისგან გამოწვეული გაუგებრობა ამა თუ იმა მეზობელ სახელმწიფოსთან.

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან ცხოვრებაში დაინტერესებული პირების მოვალეობაა თვალყური ადევნონ ასეთ პროვოკატორებს და მათ ხელში შეუწყონ მათ წინააღმდეგ ზომების მიღებას.

განი.

პრესა

ჩვენს შენიშვნაზე, რომ „საქართველოს“ არ წამოუყენებია არც ერთი ისეთი დებულება, რომლის შესახებ შესაძლებელი ყოფილიყო რაიმე პრინციპიალური კამათი და რომ ის ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ გართულებას იყენებს მხოლოდ და მხოლოდ მმართველი პარტიის ლანძღვა-გინებისათვის —„საქართველო“ მეტად გაჯავრდა და თავის წერილში ჩვენს საპასუხოთ ასეთ ზომებს ასახელებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ:

„უნდა გაგვიჩნდეს უკეთესი კანონმდებლები, ცვლილი გვყავს ლიდი; უნდა ჩამოერთვას ჰეგემონია იმ პარტიას, რომელიც დღეს უდგას სათავეში საქართველოს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქვეყნის ხსნა“ და სხ. (№ 130).

ერთი სიტყვით, ძირს სოციალ-დემოკრატია, გაუმარჯოს ნაციონალ-დემოკრატიას! აი თურმე რა „იხსნის ჩვენს ქვეყანას“! ნახა რა, ასეთი „ქვეყნის მხსნელი“ საშუალება, „საქართველო“ ასეთი სიბრძნით კვებს თავის უპრეტენზიო მკითხველებს:

„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თანამედროვე კრიზის-სიმწვავე შექმნა სოციალ-დემოკრატიამ და არა „ობიექტიურმა პირობებმა“... „სოციალდემოკრატია შრომის გადიდებას არ სთვლის საჭიროთ“... „სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგია ცხოვრების განახლების“ და სხ. (№ 130).

გამოდის, რომ ობიექტიური პირობები არაფერ შუაშია, რომ „საქართველო“ მომხრეა შრომის გადიდების და ცხოვრების განახლების მომხრე, სოციალდემოკრატია კი ყველა ამების წინააღმდეგი. მოდი და ნუ დაიჯერებენ, რომ ჩვენი ცხოვრების „განახლება“ უნდა დაიწყოს „ფრასკატში“ და მის გარშემო მოკალათებულ სპეკულიანტებისაგან! ეს უბრალო პოლიტიკოს-ეკონომისტები არ კმაყოფილდებიან ასეთი სიბრძნის გამოთქმით, ცოტა არ იყოს იჭვის თვალით უყურებენ მის მიერ ნაჩვენებ ზომების განაღდებას, მარა გულს არ იტეხენ: სოციალ-დემოკრატიას არ სურს დასთმოს თავის ბატონობა... მარა ცხოვრება „მაინც თავისას გაიტანს“—და გაზეთი რჩევის კილოთი ასეთ დარიგებას გვაძლევს: „ძალით ჩათრევას ნებით ჩაყოლა სჯობიაო“.

უცადეთ, ბატონებო!

ეკონომიური კრიზისი და კოოპერაცია

კოოპერაცია დასავლეთ ევროპაში სოციალისტურ მოძრაობათ არის ცნობილი. სოციალისტური წრეები ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდენ შემდეგი მოსაზრებით: კოოპერაცია აჩვევს მუშათა ფართო მასსას თვითმოქმედებას; ის ასწავლის მას დამოუკიდებლათ ეკონომიურ ორგანიზაციების შექმნას და მათ გაძღოლას. უმთავრესათ კი კოოპერაცია ქმნის ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში ისეთ აპარატს, რომელიც გაუადვილებს პროლეტარიატს მომავალში სოციალისტურ წესწყობილების დამყარებას. მართლაც, იქ, სადაც კოოპერაცია განვითარებულია, მაგალითად, ინგლისში და გერმანიაში, საქმეებით მართლდება აღნიშნული მოსაზრება. აქ კოოპერაცია ცდილობს შექმნას ერთი მთლიანი ორგანიზაცია, რომელიც მწყობრათ ანაწილებს პირველ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საგნებს. ცენტრი იძენს ან თვითონ ამზადებს საქონელს, რომელსაც პროპორციონალურათ, წევრთა რიცხვის მიხედვით, უგზავნიან კოოპერატივებს. ეს უკანასკნელნი კი არსდებიან ისეთ ადგილებში, სადაც მათი არსებობა ეკონომიური თვალსაზრისით უფრო საჭიროა. ეკონომიური თვალსაზრისით ხელმძღვანელობს აგრეთვე ცენტრი საწყობების ან საკუთარი წარმოების მოწყობის დროს. ერთი სიტყვით კოოპერაცია არის დღევანდელ პირობებში ისეთი ეკონომიური ორგანიზაცია, რომელმაც უნდა მოაწყოს საზოგადოებრივ ნიადაგზე წარმოება და განაწილების საქმე.

კოოპერაცია საქართველოში ადგია იმავე გზას, ისიც, როგორც დასავლეთ ევროპის კოოპერაცია, ცდილობს მოაწყოს წარმოების და განაწილების საქმე მუშების და გლეხების ინტერესების მიხედვით; კოოპერაციას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენში ევროპასთან შედარებით.

მართალია, ავიღოთ ჯერ ის მოსაზრება, რომ კოოპერაცია აჩვევს ფართო მასსას თვითმოქმედებას და ასწავლის მას დამოუკიდებლად საქმის წარმოებას. ამას ჩვენში მეტი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავს ჯერ ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში გაწვრთნილი მუშაკები. ისინი კი ისე საჭიროა, როგორც ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცველად ჯარი. პირველი უნდა შინაური აღმშენებლობა, მეორე იცავს რესპუბლიკის საზღვრებს. ორივე ერთად ემსახურებიან ერთ და იმავე სოციალისტურ საქმეს. ამასთანავე უნდა სახეში ვიქონიოთ ისიც, რომ კოოპერაცია აგროვებს თავის კაპიტალებს იმავე მშრომელი ხალხის საშუალებით, რომელიც ის ჭურდნობა თავის მუშაობაში. ერთის მხრით საპაიო გადასახადები, მეორის მხრივ მოგება, (რომელიც [illegible] ძირითადი, სათადარიგო და საზოგადო თანხებში ირიცხებიან) ქმნიან საზოგადოებრივ კაპიტალს, რომლის დანიშნულებაც ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოება-განვითარებაა. ეს კაპიტალი არის და იქნება განუყოფელი საზოგადოებრივი ქონება. მას ვერავინ გაინაწილებს. მისი მემკვიდრეა მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფო. ვერც ერობა, ვერც ქალაქები ვერ დაიჩემებენ კოოპერაციის მემკვიდრეობას. კოოპერაცია, ისე როგორც სახელმწიფო, მუშაობს სოფლად და ქალაქად. მისი ორად გაყოფა არ შეიძლება ისე, როგორც არ შეიძლება ცოცხალი ორგანიზმის გაჭრა.

თუ კოოპერაცია სოციალური მოძრაობაა და თუ მისი ქონების და მის მიერ შექმნილი აპარატის მემკვიდრე მარტო სოციალისტური სახელმწიფოა, ცხადია თანამედროვე სოციალისტური მთავრობის პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული კოოპერაციის გაძლიერებისაკენ.

თეორეტიულად ეს უკვე აღიარა პარტიულმა ყრილობამ.

ახლა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგმულ იქნეს ამ მხრით.

პირველი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება, როდესაც ვლაპარაკობთ კოოპერატიულ პოლიტიკაზე, ეს არის კოოპერაციის ორგანიზაციულათ დამოუკიდებლობა და მისი მთლიანობა. კოოპერაციის ორგანიზაციულათ დამოუკიდებლობა თავისთავად იგულისხმება. თუ მას ესა თუ ის ორგანიზაცია დაეპატრონა, ის მაშინვე ჯგუფურ ინტერესების იარაღათ გადიქცევა და ვერ შესძლებს თავის დანიშნულებას ემსახუროს. კოოპერაციის მთლიანობა მჭიდროთ შეკავშირებულია მის ორგანიზაციულათ დამოუკიდებლობასთან. ამა თუ იმ ორგანიზაციაზე დამოკიდებული კოოპერაცია ვერ შესძლებს [illegible] მოქმედებას. გარდა ამისა კოოპერაციის მთლიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერატიულ კანონს. რუსეთის დროინდელი მოქმედი კანონი მოძველდა, მას განახლება სჭირდება. კოოპერატივებს არ უნდა ჰქონდეს საშუალება იარსებოს, თუ ის არ იზიარებს კოოპერაციის პრინციპებს და მხოლოდ მის სახელით სარგებლობს. [illegible] ამ მხრივ რუსეთის [illegible]. იქ უკანასკნელ ხანებში ბოლშევიკებმა შემდეგი წესი შემოიღეს: ამა თუ იმ კოოპერატივს [illegible] კოოპერატივების ყრილობათა [illegible] მის წესდების დამტკიცება.

კოოპერატიული მოძრაობის მთლიანობის დასაცავად კარგი იქნებოდა ასეთი წესის შემოღება ჩვენშიაც: კოოპერატივების რეგისტრაციის დროს (და [illegible] კოოპერატიული პოლიტიკის წარმოების საქმეში

დღეს

ერთა ლიგას მუდმივი საერთაშორისო სასამართლოს დაარსების საკითხი განუხილავს.

ზინოვიევი და ლოზოვსკი იტალიის და შვეციის მთავრობებმა თავის ტერიტორიაზე არ შეუშვეს.

ბოლშევიკების ცნობით ლონდონში 20 ათას უმუშევრებს დემონსტრაცია მოუწყვიათ.

ბოლშევიკებს გადაუწყვეტია მოაწყონ სრულიად რუსეთის „სუბოტნიკი".

საბერძნეთის პრესა სომხეთისადმი თანაგრძნობის წერილებს ათავსებს ოსმალეთის თავდასხმის გამო.

სმირნიდან მიღებული ცნობებით დასავლეთ ანატოლიაში ქემალისტებს აუჯანყდათ გლეხები. გლეხთა დელეგაცია საბერძნეთს ქემალისტებისაგან დახსნას სთხოვს.

უმჯობესი იქნება, თუ მთავრობა მოისმენს კოოპერაციის იდეურ ხელმძღვანელ ორგანოს აზრს. ასეთი იდეური ცენტრი შეიძლება შევქმნათ. ან და მისი როლი იკისროს საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის არა სავაჭრო განყოფილებამ.

უმთავრესი ყურადღება კი უნდა მიექცეს კოოპერატიული აპარატის გამოყენებას, მეტადრე დღევანდელ პირობებში, როდესაც განსაკუთრებულ ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით...

საქართველოს კოოპერაციას აქვს საუკეთესო (სხვა ორგანიზაციებთან შედარებით) აპარატი. ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში არსებობს კოოპერატივი. მათი რიცხვი საქართველოში ათასს აღემატება. კოოპერატივები შეკავშირებული არიან რაიონულ კავშირებში. საქართველოს ყველა ქალაქებში არსებობს კოოპერატივთა რაიონული კავშირი, თავის კანტორით და საწყობებით. რაიონულ კავშირთა რიცხვი უდრის ოცს. ყველა ეს კავშირები თავის მხრივ შედიან საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირში. როგორც ვხედავთ, საქართველოს კოოპერაცია წარმოადგენს ქსელს, რომლის საშუალებით ერთის მხრით მოეწყობა ფართე მაშტაბით საქონლის განაწილება, მეორე მხრით, კოოპერაციის საშუალებით შეიძლება ამოწურვა სურსათ-სანოვაგის და ნედლი მასალის საქართველოს ყველა კუთხეებიდან.

დღევანდელ პირობებში კოოპერაცია ვერ იყენებს სავსებით თავის აპარატს. ეს აიხსნება იმით, რომ კოოპერაციას აკლია ფინანსები.

ომამდე თვითეულ წევრს შეჰქონდა პაი 5—10 მანეთი. დღეს საშუალო პაის ღირებულება არის 100 მ. ვთქვათ ფულის კურსი სამასჯერ დაეცა. ამ შემთხვევაში დღევანდელი პაის ღირებულება წინანდელთან შედარებით უდრის ერთ შაურს, ე. ი. საპაიო გადასახადით ახლა შეიძლება იყიდო ოცჯერ ნაკლები, ვიდრე წინეთ. აქედან ცხადია, რამდენათ უძლურია კოოპერაცია დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მოთხოვნილებები. კოოპერაცია ვარდება ერთგვარ ჯადოსან წრეში. კოოპერატივებმა რომ წევრები დააკმაყოფილონ, საჭიროა უკანასკნელებმა მეტი წვლილი გაიღონ. მაგრამ ისინი არაფერს აძლევენ კოოპერატივს სწორედ იმიტომ, რომ ის ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს.

მთავრობამ უნდა გამოიყვანოს კოოპერაცია ამ გასაჭირიდან. მან უნდა მისცეს კოოპერაციას კრედიტი, რომ აამოძრაოს და გამოიყენოს მისი ქსელი სასარგებლოთ. ეს დიდი და მშვენიერი აპარატი. ამავე აპარატის საშუალებით უნდა ხდებოდეს განაწილება იმ საქონლისა, რომლებსაც ჩვენი მთავრობა აწვდის მცხოვრებლებს.

გასულ წელს გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი ლაპარაკობდა კოოპერაციის ძლიერებაზე: ჩვენ მოხარული ვართ, რომ ომიდან კოოპერაცია გამარჯვებული გამოვიდა. კრიზისის დროს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, კოოპერაციას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. სურსათ სანოვაგის განაწილების საქმეში ჩვენ ვფიქრობთ დავეყრდნოთ სამომხმარებლო კოოპერაციას. ასეთი მძლავრი და გამოცდილი ქვეყანა, როგორც გერმანია, ერიდება ზედმეტ პარალელურ აპარატის შექმნას. ჩვენ კი დღესაც არ ვაპირებთ დავდგეთ ამ გზას.

გარდა ამისა ჩვენ მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოს და დასავლეთ ევროპის კოოპერაციის დაახლოვებას. იქაურ კოოპერაციას აქვს აუარებელი სიმდიდრე (მარტო ინგლისის კოოპერაციის ქონება გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს ნაციონალური სიმდიდრე). მას აქვს აგრეთვე საკუთარი ფლოტი. თუ შევძლებთ დასავლეთ ევროპის კოოპერაციის ყურადღების მოპყრობას, მას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია.

ერთი სიტყვით, კოოპერაციის დახმარებით და მისი აპარატის გაძლიერებით ჩვენ ვიძენთ სოციალიზმის მისაღწევ საშუალებას, გარდა ამისა ვპოულობთ დღევანდელ გაჭირვებიდან თავდასაღწევ ერთ გზათაგანს.

ალ. დევდარიანი.

„ახალი სხივის" საპასუხოდ

„ახალი სხივი", ალბად, დიდხანს ვერ მოინელებს ჩემს გამოსვლას გრ. გიორგაძის წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ ამ საკითხზე დამარცხდენ სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაში, ისინი „ახ. სხივის" 24 ოქტომბრის ნომრის მოწინავეში, უკიჟინებენ რა გაზ. „ერთობას" გამთიშველ კილოთი წერის, ემყარებიან, სხვათა შორის, ჩემს წერილებზე გრ. გიორგაძის წინააღმდეგ. ისინი სწერენ: „მოიგონეთ ვასო წულაძის წერილები, სხვათა შორის მისი სიტყვები ს. დ. ფრაქციის ერთ ერთ ხელმძღვანელის და ოპოზიციის წევრის გრ. გიორგაძის შესახებ; თავისი მდგომარეობით სპეკულიაციას ეწევაო. და ეს მას შემდეგ, როცა წულაძემ იცოდა თითონ ფრაქციის ბიუროს და პარტიული ყრილობის აზრი ამ საქმის შესახებო". ამაზე მინდა მოკლეთ ვუპასუხო, რომ ჩემსა და „ახალ სხივს" შორის კამათს მოჰყვა ამ საკითხის ფრაქციაში გარჩევა. მომხსენებლათ გამოვიდა ამხანაგი აკაკი ჩხენკელი, რომელიც გადაჭრით წინააღმდეგი იყო სოციალისტი დეპუტატის მიერ კერძო ფირმების დაცვის მთავრობის საწინააღმდეგოთ. (მე ხომ ამაში ვსდებდი ბრალს გრ. გიორგაძეს და როგორც მოგეხსენებათ თითონ ფაქტს მის „კოსმოსის" იურისკონსულტობისას არავის არ ხდიდა სადაოთ) ფრაქციაში არ გამოსულა არც ერთი პირი არც „ოპოზიციის" მხრიდან, რომ დაეცვათ ამის საწინააღმდეგო პოზიცია. ამხანაგები უფრო შორს მიდიოდნენ და ბევრი მოითხოვდა ვექილობის პრაქტიკის სრულიად აკრძალვას სოც. დემ. ფრაქციის წევრებისათვის.

ამ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაზეთში არ გამოქვეყნებულა. დაგვიანდა, აგრეთვე გამოქვეყნება ამ საგანზე მიღებულ რეზოლუციისა. „ახალი სხივის" გამოსვლა ნებას მაძლევს მით მივუთითო ამ რეზოლუციაზე, სადაც ერთიერთი მუხლი კატეგორიულად ამბობს: „ჩვენ დეპუტატი არ შეიძლება იყოს იურისკონსულტათ არც ერთ კერძო, სახელმწიფო და თვითმართველობის დაწესებულებაში და ფირმაში".

აი, პატივცემულო ამხანაგებო, სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის ერთსულოვანი აზრი ამ საქმის შესახებ. შეიძლება თქვენ არ გახსოვდათ ფრაქციის ეს დადგენილება და მისთვის ინებეთ ერთხელ კიდევ შეგეწუხებინათ პატივცემული მკითხველები. იმედი მაქვს, რომ აწი მაინც დაანებებთ თავს ამ საგანზე წერას.

ვ. წულაძე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

25 ოქტომბერი.

ფრანგული ცნობები

ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენციამ, რომელიც შაბათს ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, ამცნო, რომ პოლონეთი უარს აცხადებს კონფერენციის მიერ შემუშავებულ კონვენციაზე, რომელიც პოლონეთისა და თავისუფალ ქალაქ დანციგის დამოკიდებულების მოწესრიგებას შეეხება. კონფერენციამ გადასწყვიტა შაბათს დილით მოიწვიოს მოკავშირეთა კომისია დანციგის საკითხის გამოსარკვევად.

საფრანგეთ ბელგიის შეთანხმება.

საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო შეთანხმებაზე ხელის მოწერის გამო ბელგიის მთავარი შტაბის უფროსი ბრიუსელიდან გაემგზავრა პარიზს, რათა მარშალ ფოშს გადასცეს პირველი ხარისხის სამხედრო ჯვარი. იგივე ჯილდოს გადასცემს აგრეთვე საფრანგეთის შტაბის უფროსს, და ვაზის გენერალს ბიუას და გენ. ვეიგანს. ეს ჯილდოები გამოგზავნილია ბელგიის მეფის მიერ.

ბირჟის მდგომარეობა.

„ტანის" ცნობით პარიზის ბირჟის მდგომარეობა ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში საგრძნობით დამაკმაყოფილებელია. კურსის აწევა გრძელდება. (დამახინჯებულია).

გერმანული ცნობები

საფრანგეთის მთავრობის ცდამ, რომ დაჭერილ ოლქების სკოლებში ფრანგულ ენაზე სწავლება შემოეღოთ, უნაყოფოთ ჩაიარა.

ინგლისური ენა გერმანულ სკოლებში.

ჰალეში ახალი ენების შესწავლის კონგრესმა გამოიტანა რეზოლუცია, რომ გერმანულ სკოლებში ინგლისური ენა გაუთანასწორონ ფრანგულს, რომელსაც უპირატესობა ეძლევა.

იტალია და ვერსალის ხელშეკრულება.

მიუხედავათ პარიზის უკმაყოფილებისა, იტალიის ყოფილი მინისტრი ნიტტი ვერსალის ხელშეკრულების გადასაშინჯავათ კომპანიას აგრძელებს. პრესა ისევ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების შეუძლებელი პირობები ყოველგვარ მუშაობის სურვილს ართმევს გერმანიის ხალხს, რომელსაც აღარ აქვს სასამართლო და ახალშენები. ნიტტი ამბობს: გამარჯვებულთა ასეთი მდგომარეობა არა სასურველ მოქმედება—გავლენას იქონიებს თვითგამორკვეულებზეო.

ანტანტა და გერმანია.

ანტანტის კომისიამ ვენაში კონფისკაცია უყო სამ გერმანიის აეროპლანს, რომელთაც მიუნხენსა და ვენას შორის საფოსტო დამოკიდებულების დამყარება მიანდვეს. კომისიამ განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულებით ავსტრიისათვის საჰაერო დამოკიდებულების უფლების მინიჭება შეუძლია მხოლოდ ანტანტას, ამ შემთხვევაში კი ეს პირობა არ იყო შესრულებული. ამის გამო გერმანიის საჰაერო საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა.

ზარალის ანაზღაურების გარშემო.

პარიზის გაზეთი „ევრი" აღორძინების კომისიის მიერ გერმანიისადმი წარდგენილ მოთხოვნილებას ზარალის ანაზღაურების შესახებ შეუძლებლათ სთვლის და ამბობს, რომ გერმანიას გადახდის სურვილი კიდეც რომ ქონდეს,—ამის გადახდა მაინც არ შეუძლიაო...

ნახშირის შესახებ.

გერმანული პრესა უარყოფს საფრანგეთის გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთს ცოტა ნახშირი მოსდის. გაზეთებს მოყავთ საფრანგეთის მინისტრის ლე-გროკეს განცხადება, რომელიც მოთავსებული იყო „პტი პარიზიენში". ლე-გროკეს აზრით საფრანგეთის რკინის გზები იმდენსავე ნახშირს იღებენ ეხლა, რამდენსაც ომის დაწყებამდის, ე. ი. 800,000 ტონს. გაზის ქარხნებს მიაწოდეს 900.000 ტონი ნახშირი (დამახინჯებულია).

ზინოვიევისა და ლოზოვსკის დაბრუნება

(დასაწყისი არ მიგვიღია) დამოუკიდებელმა მემარცხენე სოციალისტებმა ზინოვიევის მოწვევით მესამე ინტერნაციონალში თავის წარმომადგენლათ ადოლფ ჰოფმანი გაგზავნეს. ზინოვიევი და ლოზოვსკი ბერლინიდან გავიდენ და პირდაპირ რუსეთისაკენ გაემგზავრენ. შვეციის მთავრობამ მათ შვეციაზე გავლის ნება არ დართო. იტალიამაც უარი უთხრა მათ იტალიაში შეშვებაზე.

მაღაროების ნაციონალიზაციის საკითხი.

„ფრაიჰაიტი" აღნიშნავს ნახშირის მაღაროების ნაციონალიზაციისათვის ბრძოლას და ამბობს, რომ ეს არის ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. გაზეთის ცნობით გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტებს შემუშავებული ქონიათ ამის შესახებ სათანადო პროექტი და მას, როგორც თავის მოთხოვნილების მინიმუმს, ისინი წარადგენენ. პროექტი ასეთი შინაარსისაა: კერძო და სახელმწიფო ნახშირის მაღაროები საკუთრებით გადადის ეგრედ წოდებულ მაღაროების კავშირის განკარგულებაში, ამ კავშირის უპრავლეობაში მემაღაროეები და ტეხნიკები შედიან: უმეტესობას კი მრეწველთა და მომხმარებელთა დელეგატებს წარმოადგენენ. ნახშირისაგან მიღებული თანხა კავშირს გადაეცემა. სოციალ დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი" არჩევს ამ პროექტს.

გაფიცვა.

ბრემენში სახელმწიფო ფაბრიკათა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და შრომის ხელფასის გადიდება მოითხოვეს.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

საბჭოთა რუსეთი და დიდი ბრიტანეთი.

მოსკოვი. ოქტ. 24 „იზვესტია" მეთაურში სწერს: ლორდ კერზონის უკანასკნელი ნოტა ნიკოლაევში ჩაშვებულ წყალქვეშა ნავის შესახებ საერთაშორისო უფლების ახალ საფუძვლებს ამყარებს. ნოტა დასაბუთებულია მით, რომ საბჭოთა რუსეთის პასუხისმგებელ მოღვაწეებმა არა ერთხელ განაცხადეს სურვილი ინგლისთან ზავის ჩამოგდების შესახებ. ლორდ კერზონის მოცდა საჭიროთ აღარ მიაჩნია და უბრძანებს გემებს დასძირონ ხსენებული წყალქვეშა. ლორდ კერზონის განცხადება არაა მართალი. რუსეთის მოღვაწეები ყოველთვის ზავის მომხრენი იყვნენ მაგრამ ინგლისი მუდამ აშკარა, თუ მალულ სამტრო განწყობილებაშია საბჭოთა რუსეთთან. საბჭოთა საწინააღმდეგო კომპანიაში ინგლისის მონაწილეობა, პოლონეთისა, ვრანგელისა და სხვათადმი დახმარება და სხვა კერზონს არა სასურველ მდგომარეობაში აყენებს. შემდეგ წერილში ნათქვამია: სად იყო რუსეთის წყალქვეშა, რომლის ჩაშვებაც კერზონმა ინგლისის ფლოტის საფრთხედ წარმოიდგინა. ნოტაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ წყალქვეშა ნიკოლაევში, ე. ი. რუსეთის საზღვრებში იქმნა ჩაშვებული იმ დროს, როდესაც ბრიტანეთის ფლოტი იქ დასცურავდა და ეხლაც დასცურავს. ბრიტანეთის ფლოტი ეხმარება პოლონეთსა და ვრანგელს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთს სრული უფლება აქვს მოსთხოვოს კერზონს გაიყვანოს თავისი გემები შავი და ბალტიის ზღვიდან.

სრულიად რუსეთის სუბოტნიკის მოწყობა.

მოსკოვი. 25 ოქტ. კომუნისტური პარტ. ც. კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს სრულიად რუსეთის „სუბოტნიკი" ზურგის წითელ არმიელთა დასახმარებლად. ამ დღეს დიდი მნიშვნელობა ექნება თავისი შედეგებით. გლეხებსა და მუშებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ წითელი ჯარი მათ ინტერესებს იცავს, რომ იგი თავს იცავს რეაქციონერ მონარქიულ ბურჟუაზიის თავდასხმისაგან. „სუბოტნიკების" მიზანია დაეხმაროს ზურგის წითელ არმიელებს.

უმუშევართა დემონსტრაცია.

ლონდონიდან იუწყებიან: 20,000 უმუშევარმა დემონსტრაცია მოაწყო. პოლიციასთან შეჯახების დროს ისინი ისროდენ ქვებს და ამტვრევდნენ მთავრობის დაწესებულებების ფანჯრებს.

საფრანგეთი და ინგლისი.

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის პრესაში იბეჭდება ინგლისის მთავრობისა და ლოიდ ჯორჯის პოლიტიკის საწინააღმდეგო წერილები. გაზ. „მატენი" ამას წინად ახასიათებდა ბრიტანეთის პრემიერს, როგორც „აშკარა მტერს საფრანგეთისას", რომელიც ანგარიშს უწევს ინგლისის ხალხის ნამდვილ სურვილებს. (გამოტოვებულია).

ვრანგელის ბრბოები უნდა გავანადგუროთ.

აღმოსავლეთით ჩვენ საიმედო საზღვარი გვაქვს: დასავლეთით პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა რიგაში დადებული დროებითი ხელშეკრულება. წითელი ჯარის თავის გაწირვა სიმტკიცე უზრუნველყოფს დასავლეთ საზღვარს. რაც შეიძლება მალე უნდა განვამტკიცოთ სამხრეთის საზღვარი. რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა წავართვათ უკანასკნელი იმედი საფრანგეთის ბანკირებსა და მემამულეებს—უნდა დავამარცხოთ ვრანგელი. ყირიმის მუშები იტანჯებიან ბარონის უღლის ქვეშ. სამხრეთის ფრონტის წითელმა ჯარმა შარშან შემოდგომაზე დიდის ამბით შეუტია დენიკინს და გაანადგურა იმისი ჯარი. მიმდინარე წლის შემოდგომაზე სამხრეთის ფრონტზე მყოფმა გმირებმა ასეთივე გადამჭრელი შეტევით უნდა გაანადგურონ ბარონის ბრბოები. სამხრეთის ფრონტის გმირები გადასწყვეტენ სოციალისტურ რესპუბლიკის მიერ დასმულ სამხედრო ამოცანას.

გერმანული პრესა

ერთა ლიგის ხარჯები.

„ტანი" აქვეყნებს ერთა ლიგის 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვას. გასავალი იქნება 20.650.000 ოქროს ფრანკი. იგი განაწილებულია შემდეგი სახით: 13.850.000 ფრანკი (ოქროს ფულით) ნავარაუდევია საერთო ხარჯების დასაფარავათ, 7 მილიონი ფრანკი საერთაშორისო შრომის ბიუროსათვის. ეს ხარჯები გაეწერებათ ლიგაში შემოსულ სახელმწიფოებს. ლიგის საბჭომ შაბათს განიხილა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ მოხსენება, რომელიც საერთო სხდომაზე წაიკითხება. იმსჯელეს აგრეთვე ალანდიის კუნძულების საკითხზე.

მუდმივი საერთაშორისო სასამართლო.

ერთა ლიგამ მუდმივი საერთაშორისო სასამართლოს დაარსების საკითხი განიხილა.

ელინთა მისიის ცნობა

გზების შეკეთება.

საბერძნეთის მთავრობა შეუდგა ფრაკიაში ძველი გზების შეკეთებასა და ახალი გზების გაყვანას.

განადგურებული ოლქების აღდგენა.

გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს ოსმალებისა და ბულგარელების მიერ განადგურებულ ოლქების აღსადგენათ. შავ ზღვაზე დედეაგაჩის და მიდიის ნავთსადგურების გასაფართოებლად ზომებს იღებენ.

სომხეთ-ოსმალეთის შეტაკების გამო.

სტამბოლის გაზეთი „პეიამ საბაჰ" ეხება სომხეთ ოსმალეთის შეტაკებას და სწერს: ჩვენ მივმართეთ ყოველგვარ ავანტიურას, რაც სასოწარკვეთილებით სრულდებოდა. მიუხედავათ წარსულის გაკვეთილისა ბევრს კმაყოფილებას გვრის ყარსზე თავდასხმა. ჩვენ რომ ფხიზლად ვიფიქრობდეთ, დავინახავდით, რომ დაღუპვის კარზე ვართ მისული. ჩვენი მოქმედება ჩვენ არა მარტო სომხეთსა და საქართველოს წაგვკიდებს,—მათ მფარველ სახელმწიფოებსაც.

საბერძნეთის პრესა სომხეთისადმი თანაგრძნობის წერილებს ათავსებს ოსმალეთის თავდასხმის გამო.

გლეხები ქემალისტებს აუჯანყდნენ.

სმირნიდან იუწყებიან, რომ დასავლეთ ანატოლიაში გლეხები ქემალისტებს აუჯანყდენ და ეს აჯანყება საშიშ სახეს ღებულობს. გლეხთა დელეგაცია საბერძნეთს ქემალისტებიდან დახსნასა სთხოვს. აჯანყება მოხდა მრავალ სოფელში. ადგილი ქონდა აგრეთვე შეტაკებას და სოფლების განადგურებასაც.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ამერიკის ეკონომიური მდგომარეობა

ლონდონი. „ტაიმსი" ამერიკის ეკონომიურ მდგომარეობას საგანგებო წერილს უძღვნის. გაზეთი სწერს: მეტად საგრძნობი გახდა ომის შედეგები. მრეწველობას არ ძალუძს ომის წინეთ არსებულ კალაპოტში ჩადგომა. სიმცირე ნახშირისა, მანქანებისა, რკ. გზ. ტრანსპორტის დაშლა და ხშირი გაფიცვები ცხოვრებას თანდათან აძვირებს. ამ ძვირებასთან მთავრობის ბრძოლა მეტად უძნელდება. მუშებსა და მრეწველებს შორის დაწყებულ შეთანხმებას ხელი შეუშალა მთავრობის ჩარევამ. „ტაიმსი" ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შეერთებულ შტატების ეკონომიური მდგომარეობა ანარქიას უახლოვდებაო. შრომის გენერალური ფედერაცია უარს აცხადებს საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობის მიღებაზე. მუშათა პარტიის უკიდურესი წრეები, რომელნიც უმთავრესად უცხოელებისაგან შესდგება, ტერორისტულ ტენდენციებს იჩენს. მუშათა სასოფლო-სამეურნეო პარტიამ, რომელიც სახელმწიფოებრივ სოციალიზმის მომხრეა, პრეზიდენტის კანდიდატათ შვედი ხრისტენსი წამოაყენა.

ინდოეთის შინაური მდგომარეობა.

ლონდონის პრესა ინდოეთის შინაურ მდგომარეობის გართულების შესახებ იუწყება. ინგლისის მთავრობამ მდგომარეობას ანგარიში გაუწია და ინდოეთის ავტონომიის პროექტი გამოიმუშავა. ინდუსთა საზოგადოებრივმა აზრმა ავტონომიის პროექტი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩასთვალა. ეროვნულმა კონგრესმა დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს ინდოეთის საბჭოს არჩევნებში და ინგლისის ადმინისტრაციას გაფიცვა გამოუცხადა. „ტაიმსი" ამბობს, რომ ამგვარი მოქმედებებით ინდუსებმა თვისი პოლიტიკური მოუმწიფებლობა დაამტკიცესო.

კონფლიქტი ქვანახშირის წარმოებაში.

„ტაიმსი" იუწყება: ინგლისის ქვანახშირის წარმოებაში მომხდარი კონფლიქტი ახალ ფაზაში იმყოფება. მთავრობა დათმობაზე წავიდა და ხელფასის აწევის აუცილებელ პირობათ აღარ აყენებს მემაღაროეთა შრომის ინტენსიფიკაციას. მთავრობა მოითხოვს მხოლოდ, რომ ხელფასის მომატების რაოდენობა გამოიმუშაოს და დაადგინოს სამრეწველო პალატამ, რომელიც ხელფასის საკითხს აწესრიგებს. მუშებმა უარყვეს ეს წინადადება და მოითხოვეს, რომ ეს საკითხი თვითონ მთავრობამ გადასწყვიტოს. „ტაიმსის" აზრით ეს მოვლენა გამოწვეულია ან მემაღაროეთა მეტის მეტ მომატების აუცილებლობის შეგნებით, ან და ეს არის პროვოკაცია, რითაც სურთ მუშებსა და მთავრობას შორის უთანხმოების ჩამოგდება. როგორც სჩანს, უთანხმოების ჩამოგდებას ხელს უწყობს ვიღაც ფარული პირები.

ნავთის ახალი წყაროები.

პარიზი. მექსიკაში,—მონკლოვისა და ლინარესის რაიონებში ნავთის ახალი წყაროები აღმოაჩინეს. ამის გამო შესაძლებელია, რომ მექსიკა ერთ უმდიდრეს ქვეყანად გადაიქცეს.

ახალი ტარიფი.

ნიუიორკი. შეერთებულ შტატების მთავრობის დადგენილებით გადიდებულ იქმნა რკინის გზის ტარიფი. ახალი ტარიფით ხაზინას შემოუვა წლიურად 125 მილიონ დოლარზე მეტი. პრესის ცნობით ამერიკაში რკინის გზის მოძრაობა მეტად შეფერხდა მადნეულ სათბობ მასალის უქონლობის გამო. მთავრობამ შეიმუშავა რკინის გზის მოძრაობის აღსადგენათ გეგმა, რომლის განხორციელებისათვის 6 მილიარდი დოლარი გადაიდება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **კარლ კაუცკი სახალხო გვარდიის შტაბში.** ოქტომბრის 23 კარლ კაუცკი სახ. გვარდიის მთავარ შტაბში მოვიდა. ის დიდხანს ესაუბრა ვ. ჯუღელს და შტაბის წევრებს. კარლ კაუცკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შტაბის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას. ამასთანავე რჩევა მისცა მათ ამ განყოფილებას დიდი ყურადღება მიაქციონ.

◆ **ავიაცია.** სამხედრო მინისტრის ამხანაგის ოდიშელიძის ნებართვით მოეწყობა თფილისიდან ბათომში გადაფრენა ახლად ჩამოტანილ პაეროპლანების ღირსების შესამოწმებლად. ფრენა მოხდება ასეთი მარშრუტით: თფილისს-ქუთაის-ბათომი. მფრინავის გამოანგარიშებით აპარატების ესკადრილია თფილისიდან გაფრენის შემდეგ ქუთაისში გამოჩნდება 40—50 წამის შემდეგ. აპარატები ქუთაისს გარს შემოუვლიან და შემდეგ ბათომისაკენ გაფრინდებიან. ბათომამდი გადაფრენას 1½ საათი მოუნდება. მფრინავები თან წაიღებენ თფილისიდან ბათომს გასაგზავნ ფოსტას.

◆ **შრომის სამინისტროში.** სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთა კოოპერატიულ სექციის ბიურომ იშუამდგომლა სატარიფო პალატის წინაშე, რომ ქალაქ თფილისის კოოპერატივებში მოსამსახურეთა ჯამაგირები გაუთანასწორონ კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის მოსამსახურეთა ჯამაგირს.

— შრომის სამინისტრომ შრომის კომისარიატებსა და რწმუნებულებს და მომრიგებელ კამერებს გაუგზავნა ცირკულიარი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: თუ სატარიფო პალატის დადგენილება ჯამაგირების მომატების შესახებ არ სრულდება, და თუ ამის შესახებ მუშები მოგმართავენ თქვენ საჩივრით ასეთი დადგენილების გამოცემისაგან არა უგვიანეს ორი თვისა, მაშინ იმათ გადიდებული ჯამაგირი უნდა მიეცეთ დღიდან დადგენილებისა და თუ მათ საჩივარი ამ დადგენილების გამოტანიდან ორი თვის შემდეგ შემოიტანეს, მაშინ მომატება უნდა მიეცეთ განცხადების დღიდან.

◆ **პაეროპლანების გაუმჯობესება.** ავიატორმა ქიქურიძემ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საპატენტო ბიუროს გამოგონების პრივილეგიის მისაღებად წარუდგინა გეგმა პაეროპლანების გაუმჯობესების შესახებ. თვით პატენტსა და მის გამოყენებისაგან მიღებულ შემოსავალს ქიქურია სწირავს სამშობლო ავიაციის განვითარების საქმეს. ეს შემოსავალი გადაეცემა რესპუბლიკის მთავრობას.

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტროში.** მიწად-მოქმედების მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „აფხაზეთის მცხოვრებლებს ესმოდათ დიდი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და ისინი დიდი ხანია სცდილობდნენ გაეხსნათ აფხაზეთში აგრონომიული სასწავლებელი. მცხოვრებთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები გთხოვენ გადმოგცეთ გულწრფელი მადლობა აფხაზეთში აგრონომიულ სასწავლებლის გახსნის გამო. მცხოვრებლები გთხოვენ არ დაივიწყოთ ლამაზი, მაგრამ ღარიბი აფხაზეთი".

◆ **სახალხო განათლების სამინისტროში.** სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე ოქტომბრის 21 გაემგზავრა პროვინციაში სამსახურის საქმეზე. პროვინციიდან იგი ნოემბრის პირველს დაბრუნდება.

◆ **საქონლის შემოტანა.** სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დაასრულა გადასინჯვა იმ საქონელთა სიისა, რომელთა შემოტანა და გატანაც უნდა აიკრძალოს.

◆ **რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა** ამით აცხადებს დაჭრილ-დასახიჩრებულთა საყურადღებოთ, რომ მან გახსნა წერა კითხვის არა მცოდნეთათვის კურსები. სწავლა უფასოა. ხელ-მოკლე დაჭრილ-დასახიჩრებულთ [illegible] მით სასმელ-საჭმელი ([illegible] ხურობენ) და ბინა. გახსნილია აგრეთვე კურსები მათთვის, ვისაც სურს გიმნაზიის ოთხი კლასის კურსი შეითვისოს. მიიღებიან კურსებზე გარეშე პირებიც საფასურით. მსურველები უნდა გამოცხადდენ ორშაბათს, 25 ოქტომბერს დილის 9 საათზე კავშირში (პლეხანოვის პრ., № 139).

◆ **კურსები.** ახლო ნოემბერში გაიხსნება საქართველოს პროფეს. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმ. კომიტეტის მიერ მოწყობილი კურსები პროფესიონალურ მოძრაობის მუშათა მოსამზადებლად. ამიტომ პროფეს. კავშირებმა 30 ოქტომბრამდე აღმას. კომიტეტს უნდა წარუდგინონ სიები იმ პირების, რომლებსაც კავშირები გზავნიან კურსებზე მსმენელებათ.

კრებები.

დღეს, სად. 7 საათზე კოლექტივის ბინაზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის ორგან. მე 4 რაიონული კოლექტივისა და მცირე კოლექტივების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა.

— დღეს, სად. 8 ს. ს. დ. მ. პ. ორგან. მე-4 რაიონული კოლექტივის ბინაზე შესდგება მორიგი სხდომა ვერის გამართობ საზოგადოების გამგეობისა.

— დღეს, 26 ოქტომბერს სად. 6 ს. (ახალი დროით) ტრამვაის პარკში შესდგება საზოგადო კრება ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ს.-დ. მ. პ. წევრებისა. მოხსენებას გააკეთებს, ევროპიდან ახლად დაბრუნებული ამხ. კოწია გვარჯალაძე შემდეგ თემაზე: ევროპის მუშათა მოძრაობა და მიმდინარე მომენტი. ამიტომ ვთხოვთ ყველა ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ ზემო აღნიშნულ კრებას.

— დღეს, თფილისის ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის გამგეობა, მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 123), საღამოს 7 საათზე, ქართულ ენაზე აწყობს ექიმ ლომოურის ლექციას ხოლერაზე. შესვლა უფასოთ.

საზრდო-საჭმლის საკითხი

(სანიტარული შენიშვნები).

საერთოდ საზრდო საჭმლის და კერძოდ პურის საკითხი დღეს მწვავე საკითხად არის გადაქცეული. იმდენად გართულდა პურის საკითხი, რომ პური ლამის არის რესპუბლიკის „ყოფნა არ ყოფნის" მიზეზად გადაიქცეს. ამიტომაა რომ პურზედ დღეს ბევრი ლაპარაკობს, ბევრი სწერს და მგონი არავინ მოიპოვება ისეთი, რომ პურზედ არა ფიქრობდეს...

პურის შესახებ ამ საერთო ხმაურობა-მოძრაობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, მეცნიერების ერთი დარგის წარმომადგენელთა არც ხმა ისმის და არც მათი მოქმედება-მუშაობის შედეგი და კეთილი ნაყოფი სჩანს.

პურის საკითხი, თუ ეკონომიური საკითხია, იმავე წამს და იმავე წუთს სოციალური გიგიენის საკითხიც არის. სად თავდება ამ საკითხში ეკონომიური ნაწილი და სად იწყება საკითხი მეორე—სანიტარული—მხარე, ამის თქმა პირდაპირ შეუძლებელია. ამიტომ ფრიად საჭირო იყო, რომ პურის საკითხზედ მსჯელობის, მისი აწონ-დაწონვის დროს ეკონომისტებთან ერთად ქალაქის სანიტარულ განყოფილების წარმომადგენელთაც ჯეროვანი და საპატიო ადგილი სჭეროდათ. მაგრამ მათი ხმა არ ისმოდა და საჯაროთ არც არავის გაუგონია. სოციალურ საკითხების დაფასებაში ეს მოვლენა საგრძნობ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

სხვაგან, ჩვენზედ უფრო განათლებულ ქვეყნებში, სანიტარია-გიგიენას სოციალურ საკითხების გადაწყვეტა მოწესრიგებაში ღირსეული ადგილი უჭირავს. საქმის ასეთ დაყენებას იქ შესაფერისი ნაყოფიც მოაქვს. სანიტარულმა ტეხნიკამ, სანიტარულმა კანონმდებლობამ და გიგიენის მოთხოვნილება-პრინციპებზე ხალხის აღზრდა-განვითარებამ ევროპის განათლებულ ქვეყნებში უკვე დიდი ნაყოფი გამოიღეს. ხალხი ჯანმრთელობის მხრივ შედარებით შავბნელ წარსულთან უკეთეს—მდგომარეობაში ჩააყენეს. საერთო სიკვდილიანობის პროცენტი შესამჩნევად ძირს დასწიეს, ავადმყოფთა და დავრდომილთა რიცხვი საგრძნობლად შეამცირეს. ზოგიერთი გადამდები სენი თავიანთ ცხოვრებიდან სანიტარულ-გიგიენური თადარიგით სამუდამოთ ამოფხვრეს და ისტორიულ წარსულს ჩააბარეს. ჯანმრთელობის დარგში ასეთმა მუშაობამ—ხალხი ეკონომიურადაც გაალონიერა. მისი დოვლათი გაიზარდა და კეთილდღეობა განამტკიცა...

ჩვენში სანიტარია-ჰიგიენას, ისე როგორც ზოგიერთ სხვა სპეციალობას, იმდენი პატივისცემა და გასავალი არ აქვს,—რაც მათ განათლებულმა ხალხმა მიაკუთვნეს. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს გარდამავალია. ეს გაივლის, სხვა დალაგდება—ყველაფერი მოეწყობა და კალაპოტში ჩადგება. და მაშინ სოციალური გიგიენა და საზოგადოებრივი სანიტარია ჩვენს ცხოვრებაში, ჯეროვან ადგილს დაიჭერენ მაშინ, სასურველია არც პურის, არც ბინის, არც წყლის და აგრეთვე სხვა სანიტარული საკითხები არ გადაწყდებიან და არ მოგვარდებიან ისე, რომ ჰიგიენისტებმა და სანიტარულმა ექიმებმა საქმიანობაში თავიანთი წვლილი არ შეიტანონ. დღეს-დღეობით კი პურის საკითხში სანიტარიის მოღვაწეთ ქ. თფილისისათვის ცოტა რამის გაკეთება მაინც შეეძლოთ. გვრწამს—სანიტარულ ექიმებს რომ შესაფერისი უფლება-ძალით ყოფილიყვნენ აღჭურვილნი, მათ სიტყვას და აზრს, სადაც ჯერ-არს, გასავალი და სიძლიერე ჰქონოდათ,—მაშინ დღევანდელ სამაგალი პური არ გვექნებოდა, შეიძლება სხვაფრივ ცუდი ღირსება

ფილიყო „ქერის ჩიჩილა", მაგრამ გამოსცხვარი მაინც იქნებოდა.

შეიძლება ბევრმა იუკადრისოს ჩვენი ასეთი მსჯელობა და ჩვენდა საპასუხოდ ასეთი აზრი გაიგლონ—„სად ექიმი და სად პურის გამოცხობაო". ეს განცვიფრების მიზეზად არ უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ საერთოდ ჯერ არ ვიცით სანიტარიის მნიშვნელობა არამც თუ დაფასება, უფრო მეტის თქმა შეიძლება, ბევრმა ჩვენგანმა სრულიად არ იცის რა არის სანიტარია და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან—სანიტარულ საქმიანობას—ხალხის ცხოვრებისათვის.

განა ჩვენ დღეს ქ. თფილისში ხოლერისათვის ნიადაგი უნდა გვქონდეს, რომ ჰიგიენის მოთხოვნილებათა საქმიანობას ცოტაოდ მაინც ვაფასებდეთ და ჯეროვანად ვაწარმოებდეთ? განა ჩვენ რომ დაფასება ვიცოდეთ სანიტარული საქმიანობისა და მთლიანად, სავსებით შეგნებული გვქონდეს მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჩვენ დემოკრატიის მომავლისათვის—ის სანიტარული გადასახადი, რომელიც ახლო წარსულში აიკრიბა—ქალაქის უკიდურეს ანტი-სანიტარიას არ მოხმარდებოდა და სხვა რამეზედ დაიხარჯებოდა?

განა ზუნებით ნაკურთხს ჩვენს არემარეს დღეს უსაშინელესი ჭირი—შავი ჭირი—თავს უნდა დასტრიალებდეს და აუარებელ მსხვერპლს და გამოუთქმელ ზარალს გვაყენებს,—რომ ჩვენ სოციალური ჰიგიენას და სანიტარული საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნილებათა აღმასრულებლები ვიყვნეთ?! რასაკვირველია არა!! მაგრამ პოლიტიკურ-სოციალური აღმშენებლობის დროს, ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმიანობაში გმირულად, სასიქადულოდ დაცულმა გარეშე მტრების საწინააღმდეგო ფრონტებმა დრო და საშუალება აღარ მასცეს ჩვენს დემოკრატიას ამავე ზომით და ამავე ენერგიით ერთი შინაური ფრონტიც ეწარმოებინა. ეს ფრონტი გახლავთ—ერის, დემოკრატიის ჯანმრთელობის აუარებელ უხილავ და ხილულ მტერთა საწინააღმდეგო ფრონტი. სანიტართა ჰიგიენის ფრონტი! ამ ფრონტისათვის ჯერ ჩვენს დემოკრატიას შესაფერისი ძალა, ღონე, ენერგია და ხარჯი არ გაუღია! ჯერ ამ მხრით მომდგარ მტრისთვის ჩვენს ხალხს თავისი მძლავრი მკვლავი არ მოუქნევია. და აი ამიტომაა, რომ დღეს ჩვენ იმ ფრონტიდან შემოპარული მტრები—შავი ჭირი, ხოლერა, მალარია, ქლექი, ტიფები, ყვავილი, მჭლევა და ბევრი კიდევ სხვა, რომელთა სრული „ლეგიონი" გვემარცხებენ—უთვალავ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობას გვხოცავენ, ეკონომიურად გამოუთქმელად გვაზარალებენ და დემოკრატიის დოვლათს და კეთილდღეობას განსაცდელში აგდებენ! ერთი რამ მუდამ უნდა გვახსოვდეს! უნდა კარგად ჩავიჭედოთ გონებაში, ფიქრში და აზრში, რომ ეს შინაური მტრები—პაწია, უხილავი მტრები—ბაცილები გაცილებით უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენენ ხალხის მომავლისთვის, ვიდრე „ორფეხა" გარეშე მტრები. მათთან უფრო ძნელია ომი და საქმის მოგვარება, ვიდრე გარედან მომდგარ მტერთან! შიგნიდან უფრო დიდი საფრთხე მოგველის—ანდაზისა არ იყოს „ციხე შიგნიდან გატყდებაო"—ვიდრე გარედან, ამიტომ თუ გვინდა მოპოებული მდგომარეობის განმტკიცება - განვითარება, თუ გვსურს ჩვენი დემოკრატიის „დიდებული სოციალური" მომავალი—დროა „შინაურ მტერთა" საწინააღმდეგო ფრონტსაც მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება! დროა სანიტარულ-ჰიგიენური სანგრებიც—წყალსადენები, კანალიზაცია, დეზინფექცია და სხვა, გავამაგროთ! და მაშინ უფრო ძლევა-მოსილნი ვიქნებით ყოველმხრივეთ! უფრო მოვაახლოვებთ იმ მომავალს, საითკენაც დიდი სასოებით თვალი გვიჭირავს!

„სოციალიზმის მზე რომ ამობრწყინდება, მას ჯანსაღებმა უნდა უმზიროთ და არა ქლექიანებმა და მალარიით ღონე მიხდილმა ჩრდილებმა!!

სანიტარია ჰიგიენის მნიშვნელობის დასამტკიცებლად ბოლოს ერთი გამოჩენილი ადამიანის აზრს მოვიყვან. აი რას ამბობს ინგლისელი ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც დღესაც მთელი ინგლისის ცხოვრების ხელმძღვანელია:—„ერის ჯანმრთელობას სანიტარია და ჰიგიენა ჰქმნიან. ხალხის ჯანმრთელობა კი ის საძირკველია, რომელზედაც სახელმწიფო ძლიერება და ერის ბედნიერება დამყარებულია. ულამაზესი და უძლიერესი სახელმწიფო ჰქვიან, დარბაისელ, შრომის მოყვარე მოქალაქეებით, დიდი ფაბრიკა-ქარხნებით და ფრიად კულტურული სოფლის მეურნეობით; სახელმწიფო, რომელშიაც ხელოვნებანი ვითარდებიან, ხუროთმოძღვარნი უთვალავ სასახლეებს აგებენ და რომელსაც ყველა იმ სიმდიდრე-სიკეთის დასაცავად საუკეთესო იარაღი და საშუალებანი აქვს—აი ასეთი სახელმწიფო უნდა დაიღუპოს, თუ მისი ერი არა მრავლდება, თუ იგი ყოველწლიურად დიდი სიკვდილიანობით სიცოცხლის ენერგიას ჰკარგავს. ამიტომ ხალხის ჯანმრთელობის სანიტარული კანონმდებლობით, ჰიგიენური საქმიანობით გაუმჯობესობაზე ზრუნვა—სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ადამიანისთვის უპირველეს მოვალეობას შეადგენს"-ო.

ექიმი ი. ლომოური.
(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

მე 3 ინტერნაციონალი და პროფესიონალური მოძრაობა. გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტთა ორგანოში—„ფრაიჰაიტში" დაბეჭდილია შემდეგი: 7 აგვისტოს მოსკოვში შესდგა კომუნისტურ ინტერნაციონალის ახლად არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. სხდომაზე დასმული იყო საკითხი მესამე ინტერნაციონალის დელეგაციისათვის დირექტივების მიცემის შესახებ; დელეგაცია უნდა დასწრებოდა ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო კონგრესზე კოპენჰაგენში. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია: დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოოს მესამე ინტერნაციონალმა პროფესიონალურ კავშირების მიმართ.

დაბოლოს დელეგაციას მიეცა შემდეგი დირექტივი: „ცალკე ქვეყნებში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები რასკოლი მემარჯვენე ოპორტუნისტულ პროფესიონალურ კავშირთა შორის, ვინაიდან აქ ჩვენ საქმე გვაქვს მასსიურ ორგანიზაციებთან, რომლებიც შიგნიდან უნდა იქნეს დაპყრობილი. საერთაშორისო ფარგლებში კი ჩვენ პირდაპირ უნდა მივისწრაფოდეთ რასკოლისაკენ, რადგანაც ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალი მთავარი დასაყრდენი წერტილია ბურჟუაზიისათვის. ამსტერდამისა და პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ორგანიზაციების „ხელმძღვანელნი" დაბადებითვე მახინჯნი არიან; ისინი გამაგრებულნი არიან კავშირთა ზურგზე და მოხერხებულად სარგებლობენ კავშირების გავლენით საკუთარ მიზნების განსახორციელებლად. ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო კონგრესზე ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩამოვაცილოთ ამსტერდამის ინტერნაციონალს ნაწილი მაინც კავშირებისა".

„ფრაიჰაიტს" მოჰყავს რა ეს ალაგი მოსკოვის „იზვესტიის" ოფიციალურ ანგარიშიდან თავის მხრით დასძენს: „როგორც ვიცით, რუსეთის დელეგაცია არ დასწრებია კოპენ-ჰაგენის კონგრესს, ვინაიდან მას არ მისცეს კოპენჰაგენში შესვლის უფლება. მაგრამ კიდეც რომ დასწრებოდა იგი ამ კონგრესს,—საეჭვოა, რომ მოსკოვის ისპოლკომის ასეთი დირექტივებით მას კონგრესზე რაიმე გამარჯვება ეგემებია".

ინგლისი.

გორკი აზიურ საფრთხის შესახებ. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუსი" ბეჭდავს წერილს, რომელიც ინგლისის ცნობილ მწერალმა უელსმა მიიღო მაქსიმ გორკისაგან. უკანასკნელი, სხვათა შორის სწერს: „ჩვენ ვცხოვრობთ იმ ხანაში, როდესაც თვით უაღრესად გახრწნილ და ბოროტ ფანტაზიასაც კი არ შეუძლია მოიგონოს იმაზე უფრო საშინელი და საძაგელი რაიმე, როგორიც დღევანდელი სინამდვილეა. ერთერთ ასეთ ამაღელვებელ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს წასისინება რუსეთზე,—იმ რუსეთზე, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიას ხარჯავს იმიტომ, რათა ცხოვრებაში იქნეს გატარებული სოციალური ექსპერიმენტი, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენ—რუსებს მოგვცენ საშუალება ვიცხოვროთ ჩვენი სიბრძნით, ან ჩვენი სისულელით, სიშტერით. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოვახდენდით ექსპერიმენტს, რომელიც ჭკუას ასწავლიდა მთელ ევროპას. მაგრამ ევროპა, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი წარმოადგენენ, ცდილობს ჩვენს დახრჩობას. მე არ მწამს, რომ აქ ევროპამ გაიმარჯვოს, მაგრამ ეს ადვილად გადაისვრის რუსეთს აზიის წიაღში. ნუ თუ ამაში ვერ ხედავთ აზიის ხალხებთან გაერთიანების შესაძლებლობას, საფრთხეს ევროპის კულტურისათვის. მე კი ეს საკითხი გულზე მაწევს მაჯლაჯუნასავით".

ავსტრია.

მოსკოვის ინტერნაციონალი და ავსტრიელი მუშები. გაზ. „არბაიტერ-ცაიტუნგი" ვრცელ წერილს უძღვნის მოსკოვის ინტერნაციონალს და ამბობს, რომ უკანასკნელმა საბოლოოთ ჩაჰკლა ყველა რევოლუციონურ-სოციალისტურ პარტიათა გაერთიანების იდეა. გაზეთის აზრით, რუსეთის ბოლშევიზმი საბოლოოთ დაამარცხებს სოციალიზმს, თუ იგი ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში მოიკიდებს ფეხს. მოსკოვი უარყოფს ყოველგვარ დამოუკიდებლობას და თვითგამორკვევის უფლებას პარტიის მხრივ და მოითხოვს უსიტყვოდ დამორჩილებას დიქტატურულ ძალაუფლებისადმი.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა

24 ოქტომბერს თფილისში გაიხსნა საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდენ ამხ. დელეგატები რესპუბლიკის ყველა კუთხიდან.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი. გამწვანებულ-გამომშვენებული ყურადღებას იპყრობდა წითელი დროშები, რომელიც საზეიმო ელფერს აძლევდა სახალხო სახლს. დელეგატებმა დილიდანვე იწყეს თავის მოყრა. მიუხედავათ ცუდი ამინდისა,—უთვალავი გარეშე საზოგადოება მოაწყდა სახალხო სახლს. ყრილობის გახსნამდე სხვადასხვა კუთხის დელეგატები ხვდებიან ერთმანეთს და ხალისიანად მოუთხრობენ თავიანთ რაიონებში მუშაობის შესახებ.

საუცხოვოდ მორთულია სახალხო სახლის წარმოდგენების დარბაზი. სცენას საზეიმოთ ამკობს ნოხები და წითელი დროშები. წინ მარჯვნივ მოთავსებულია საერთაშორისო სოციალიზმის ბელადის—კ. კაუცკის დიდი სურათი, მარცხნივ ასეთივე სურათი ნოე ჟორდანიასი. სცენის სიღრმიდან წითელ ფონზე გამოჩანს სოციალიზმის მამათ მთავართა—კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბელადების—ფერდინანდ ლასალის, ავგუსტ ბებელის, ირაკლი წერეთელის, პლეხანოვისა და სხვათა სურათები.

თერთმეტ საათზე ყველანი იკავებენ თავიანთ ალაგებს: დელეგატები პარტერში, გარეშე საზოგადოება—ქანდარაზე. ქანდარის ამფითეატრზე მოთავსებულია სახალხო გვარდიის სამხედრო მუსიკა. სცენაზე თავ თავიანთ ალაგებს იკავებენ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრები, მთავრობისა და დამფუძნებელ კრების წარმომადგენელნი, პროფესიონალურ და სხვა კავშირების ხელმძღვანელნი; აქვე მოთავსებულნი არიან სტენოგრაფისტები და პრესის წარმომადგენელნი.

თერთმეტ საათსა 50 წუთ. ყრილობას ხსნის მთავარ შტაბის სახელით შტაბის თავმჯდომარე ამხ. ვალ. ჯუღელი. ყრილობის გახსნას მთელი დარბაზი ტაშის ცემით ხვდება; მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს".

ყრილობის თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ამხ. **ნიკო ელიავა**, რომელიც ყრილობას შემდეგის სიტყვებით მიმართავს:

ამხანაგებო! მადლობას მოგახსენებთ იმ ნდობისათვის, რომლითაც თქვენ აღმჭურვეთ.

დღევანდელი ყრილობის დანიშნულებაა: დააფასოს განვლილი მუშაობა, აღნიშნოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და გამონახოს მომავალი მუშაობისათვის ის გზა, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება მიზნების განსახორციელებლად.

ჩვენი სახალხო გვარდიის მოღვაწეობა ყოველთვის იყო ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელთაგანი ჩვენს ისტორიაში. ასეთივე იყო გასულ წელსაც და ასეთივე იქნება მომავალშიაც. ხმლით ხელში იდექით თქვენ ფრონტზე და გმირულად იცავდით ჩვენი სამშობლოს საზღვრებს, მტკიცე და შეუდრეკელი დამცველები იყავით რევოლუციის მონაპოვარისა. მაგრამ ამასთანავე თქვენ თამაშობდით თვალსაჩინო როლს ჩვენი სახელმწიფოს საშინაო ცხოვრებაშიაც, მონაწილეობას იღებდით ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების მოწესრიგება-აყვავებაში. მე ვიმედოვნებ, რომ გვარდია ასეთივე იქნება მომავალშიაც და არასდროს ზურგს არ უჩვენებს კარზე მომდგარ მტრებს.

სახალხო გვარდია შესდგება ჩვენი მუშებისა და გლეხების მოწინავე ელემენტებისაგან და, როგორც ასეთი, იგი არ ივიწყებს პროლეტარულ და გლეხურ მუშაობას. ამ მხრივ აღსანიშნავია გვარდიის მუშაობა სასოფლო მეურნეობაში და ის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, რომელსაც გვარდია დაუღალავად ეწევა ამ მუშურ-გლეხურ მასსაში. მსგავს მუშაობით გვარდია ამტკიცებს, რომ იგი ნამდვილი შვილია ჩვენი მუშათა კლასის, მშრომელი მასის და მუდმივი კავშირი აქვს ამ უკანასკნელთან...

ამ დროს დარბაზში შემოდის ამხ. კარლ კაუცკი, რომელსაც თან ახლავს თავისი მეუღლე და მდივანი. კაუცკის მკერდს უმშვენებს სახალხო გვარდიის სამხედრო ნიშანი. მთელი დარბაზი ფეხზეადგომით ოვაციებს უმართავს საერთაშორისო პროლეტარიატის მხცოვან ბელადს. ქანდარაზე მუსიკა „ინტერნაციონალს" უკრავს. კაუცკი სცენაზე ადის და ყრილობას ქართულად მადლობას უხდის შემდეგი სიტყვებით: „ამხანაგებო, მადლობა, გამარჯობა"! დაუსრულებელი ტაშის ცემა ჰფარავს მის სიტყვებს...

ამის შემდეგ თავმჯდომარე განაგრძობს სიტყვას. იგი მოუწოდებს ყრილობას ფეხზე ადგომით პატივი სცენ ფრონტზე დაღუპულ სახალხო გვარდიელთა წმინდა ხსოვნას. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს...

შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ყრილობა კაუცკის თავის საპატიო თავმჯდომარეთ ირჩევს. საპასუხოთ კაუცკი ვრცელ სიტყვას ამბობს გერმანულ ენაზე დემოკრატიულ სამხედრო ორგანიზაციის მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც ქართულად სთარგმნის ამხ. დ. შარაშიძე (კაუცკის სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ).

კაუცკის სიტყვის შემდეგ საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმათ ირჩევენ ამხ. ნ. ჟორდანიას.

არჩეულ იქნა პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგებათ: ამხ. ქ. ჭუმბურიძე და ფარქოსაძე; მდივნებათ—ბაღუნაშვილი, რუხაძე და ჩხაიძე.

ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისასალმებელი სიტყვები.

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დამ. კრების თავმჯდომარის ამხანაგმა **ს. მდივანმა**. იგი დაახლოვებით შემდეგს ამბობს:

მოგესალმებით დამფ. კრების პრეზიდიუმის სახელით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. მეტია ლაპარაკი იმაზე რომ სახალხო გვარდიას ფასდაუდებელი სამსახური მიუძღვის სამშობლოს წინაშე. პრეზიდიუმის სახელით თამამათ შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს თავისუფლებას არავითარი საფრთხე არ მოელის, სანამ მას დარაჯათ ეყოლება ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი. ამ რწმენით ჩვენ მზათა ვართ შევებრძოლოთ ყოველგვარ გარეშე მტერს, თუ იგი სამშობლოს საზღვრების გადმოლახვას მოისურვებს.

მაგრამ არის მეორე მხარე სახალხო გვარდიის მუშაობაში: ესაა მუშაობა ჩვენი მეურნეობის ასაყვავებლათ. და ჩვენ გვწამს, რომ სახალხო გვარდიის ძლიერება ისეთივე მტკიცე იქნება ამ სფეროშიაც, როგორც სამხედრო მოქმედებაში; ვინც თავის სისხლს არ შურავს სამშობლოს დასაცავად,— იგი არ დაიშურებს არავითარ ენერგიასაც თავისი მშობელი ხალხის საკეთილდღეოთ. იმედს გამოვსთქვამ, რომ მომავალ წელში კიდევ უფრო მტკიცე იქნება თქვენი მუშაობა ამ სფეროში. (ტაში).

მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. **ნ. რამიშვილი**. იგი ამბობს:

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოგესალმებით რევოლუციისა და სოციალიზმის ერთგულ ლაშქარს! ჩვენ, რომლებიც ჩვენი მუშაობის დროს ყოველთვის დემოკრატიას ვეყრდნობოდით, განსაკუთრებულათ გვესაჭიროებოდა სახალხო გვარდია. ყოველგვარ მწვავე მომენტებში ჩვენ ერთი გვესმოდა: გვარდია უძლეველია მაშინ, როდესაც მას შინაურ მტრებთან უხდება ბრძოლა, მაგრამ მისი ძლიერება ასეთივე არ იქნება მაშინ, როდესაც მას გარეშე მტრების წინაშე ექნება საქმე. მაგრამ მთავრობას ამ მხრივ არასოდეს ეჭვი არ ეპარებოდა. და სახალხო გვარდიამაც ყველგან გაამართლა ჩვენი იმედები. ასეთივე იქნება იგი მომავალშიაც... შემდეგ ორატორი ახასიათებს სახალხო გვარდიას, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს და თავის მისალმებას შემდეგის სიტყვებით ათავებს:

— ჩვენ გვწამს, რომ სახალხო გვარდიას მუდამ ექნება ერთ ხელში ხმალი, მეორე ხელში ჩაქუჩი, მედგრათ დაიცავს სამშობლოს მოსიულ მტრებისაგან და მტკიცედ იბრძოლებს სოციალიზმისათვის (ტაში).

დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციის, დამფ. კრების სამხედრო კომისიის, ს.-დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის, საკონტროლო კომისიის, პროფესიონ. კავშირთა საბჭოს, ქალაქთა კავშირის, ერობათა და კოოპერატივთა კავშირების, ქალაქის თვითმართველობის, ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის, ს. ს.-დ. მ. პ. სომხურ სექციის, ფოსტა-ტელეგრ. და თვ. მუშა-მოსამსახურეთა და სოც.-რევოლუციონერთა პარტიის სახელით ყრილობას მიესალმება ამხ. **აკ. ჩხენკელი**.

იგი აღნიშნავს იმ პირობებს, რამაც პირველად გამოიწვია სახალხო გვარდიის დაარსება, ეხება მის მოღვაწეობას და მიუთითებს იმ სოლიდარულ მუშაობაზე, რომელსაც ხელი-ხელ ჩაკიდებულნი აწარმოებდენ სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენი გვარდია და ჯარი. დასასრულ ორატორი აღნიშნავს შეიარაღებულ ძალების საჭიროებას, სანამ სამშობლოს ემუქრება წითელი თუ მწვანე იმპერიალიზმი და იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი გვარდია და ჯარი პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას მშობელი ერის წინაშე (ტაში).

მისალმებების შემდეგ კრება 10 წუთით წყდება. კრების განახლების შემდეგ გამომუშავებული და დამტკიცებული იქნა რეგლამენტი და აირჩიეს სამანდატო კომისია, რომელშიაც შევიდენ შემდეგი ამხანაგები: ს. ნინუა, უ. ელიავა და ს. გოცაძე. დამტკიცებული იქნა აგრეთვე დღიური წესრიგი, რომელიც უკვე გვქონდა მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

ამის შემდეგ მოსმენილი იქნა ვრცელი მოხსენება მთავარი შტაბის მუშაობის შესახებ ამხ. ვ. ჯუღელისა.

მან მოკლეთ შემდეგი სთქვა:

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მუშაობა საერთოდ დადებითი იყო. მაგრამ შიგა და შიგ ამ მუშაობას თან ახლავს შეცდომები, რაც იმით აიხსნება, რომ გასულ წელს გვარდიას უხდებოდა მთავარი ყურადღების ფრონტისთვის მიქცევა. ყრილობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას, აღნიშნოს ყველა შეცდომები და გამონახოს გზები, რომლითაც მომავალში აცილებული იქნება მსგავსი შეცდომები.

შეიარაღებული ძალა, ჯარი ყოველთვის მძიმე ლოდათ აწვებოდა ხალხს. ჩვენ ორი სამხედრო ორგანიზაცია გვყავს—სახალხო გვარდია და ჯარი. ამიტომ ხშირათ გვეუბნებოდენ: რა საჭიროა გვარდიაო? მაგრამ თვით ჩვენი ცხოვრება მოითხოვს სახალხო გვარდიის არსებობას; სახალხო გვარდიის განიარაღება—ეს მუშათა კლასის, რევოლუციის განიარაღება იქნებოდა.

ამიტომ მთავარი შტაბი ცდილობდა შეემსუბუქებია ის ხარჯები, რომელსაც სახალხო გვარდიის არსებობა იწვევდა. ამ მხრივ მან ყურადღება მიაქცია მეურნეობას, საკუთარის, გვარდიის ძალებით ამუშავებდა მინდვრებს; მაგრამ შტაბმა ამ მხრივ ვერ შესძლო თავისი გეგმის სრულად განხორციელება, რადგანაც აქ მას ხელს უშლიდენ დასახელებული სამხედრო დროის პირობები.

აღნიშნული პირობები იყო საერთო მიზეზი, რაც საფუძვლად დაედო ყველა შეცდომებს. ამან იჩინა თავი გვარდიის მუდმივ ნაწილებისა და რეზერვების ორგანიზაციის საქმეში. გასულ წელს დიდი საჭიროება იყო, რათა გადიდებულიყო, როგორც მუდმივი, ისე სარეზერვო ნაწილები. ამან აიძულა მთავარი შტაბი ნაწილებში ჩაერიცხა ახალი პირები და ამ ახალ გვარდიელების მიღების დროს შტაბი ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას გვარდიელების პიროვნობას; ამის გამო გვარდიაში მოხვდენ ზოგიერთი უვარისი პირები, რამაც გამოიწვია გვარდიის სისუსტე ზნეობრივის მხრით. ყრილობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და გამონახოს ზომები გვარდიის ზნეობრივათ ასამაღლებლათ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მთავარი შტაბის სხვა და სხვა განყოფილებების მუშაობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი აქცევს შტაბის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას მოქმედებას. ამ განყოფილებამ მეტად დიდი საქმე გააკეთა გასულ წელს; იგი სცდილობდა გვარდიისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე თვითვე დაემუშავებია და ამით შეემსუბუქებია გვარდიის შენახვის საქმე. განყოფილებამ შესძლო პურით უზრუნველ ეყო გვარდია გასულ წელს. აღსანიშნავია გვარდიის მუშაობა ყარაიაზში; აქ მის მუშაობას არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა;—მას ჰქონდა პოლიტიკური მხარეც. გვარდიამ გასწმინდა აღნიშნული რაიონი სხვადასხვა ბანდებიდან და მით უზრუნველჰყო ამ მხრივ რესპუბლიკის საზღვრები.

სამხედრო ორგანიზაციის ეკონომიურ ხასიათს,—ამბობს მომხსენებელი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აქ კ. კაუცკიმაც თავის სიტყვაში. რასაკვირველია, ასეთი მუშაობით ჩვენ სოციალიზმს არ ვამყარებთ. მაგრამ ამ გზით ჩვენ ვეწევით მუშაობას შრომის ფრონტზე და ჩვენი სახელმწიფოს წინაშე წამოჭრილ ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტას ხელს ვუწყობთ.

შემდეგ მომხსენებელი აკეთებს სამხედრო ოპერაციების ვრცელ მიმოხილვას შინაურ და გარეშე ფრონტებზე და აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტებს. ეხება ნაწილების უფროსებს, სარაიონო და საოლქო შტაბების უფლებებს და მოუწოდებს ყრილობას მიაქციოს ამ მხარეს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება.

ერთსულოვან და შეთანხმებულ მუშაობით დაძლეული იქნება ყოველგვარი დაბრკოლებები, გვარდია მიიღებს ნამდვილ დემოკრატიულ, პროლეტარულ ხასიათს და მხნეთ ჩადგება მებრძოლ პროლეტარიატის რევოლუციონურ რაზმებში (ტაში).

კამათი მოხსენების გარშემო შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ

იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ დაამუშავა პროექტი კანონისა მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესით.

თანახმად კანონ-პროექტისა თანამდებობრივ დანაშაულის საქმეები განხილული უნდა იქნეს სისხლის სამართლის წარმოების წესდების საერთო წესისამებრ ქვემო ჩამოთვლილ გამონაკლისით:

1) თანამდებობრივი დანაშაული ექვემდებარება ოლქის სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. იმ ადგილებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოღებული არ არის, თანამდებობრივი დანაშაული განხილულ უნდა იქნეს ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლად. 2) საზღვარ გარეთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სამსახურში მყოფნი პირნი რესპუბლიკის გარეშე ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულისათვის გასამართლებულ უნდა იქნენ თფილისის ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, 3) გარდა დამფუძნებელ კრების, პარლამენტის, ან მთავრობის წევრებისა, საერთო და სამორიგებლო სასამართლო დაწესებულებათა მოსამართლეებისა, ნაფიც მსაჯულებისა, გამომძიებლებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პირთა, ყოველ მოხელის თანამდებობრივ დანაშაულის გამო სისხლის სამართლის დევნა უნდა აღძრას იმ ოლქის სასამართლოს პროკურორმა, რომელსაც საქმე ექვემდებარება. კერძო პირთა საჩივრები და განცხადებანი, სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ცნობები და მოხსენებანი ისეთ თანამდებობრივ დანაშაულის შესახებ, რომლისათვის სისჯელი სასამართლოს წესით უნდა იქნეს დადებული, აგრეთვე თვით მოხელის მიერ თავის თანამდებობრივ დანაშაულის აღიარება უნდა გაეგზავნოს სათანადო ოლქის სასამართლოს პროკურორს, ან საპროკურორო ზედამხედველობის უახლოესს პირს, რომელმაც იგი უნდა გადასცეს სათანადო პროკურორს. დამფუძნებელ კრებისა, პარლამენტისა ან მთავრობის წევრის თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნა შეიძლება აღძრულ იქნეს მხოლოდ დამფუძნებელ კრების, ან პარლამენტის დადგენილებით. კერძო პირთა საჩივრები და განცხადებანი და სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ცნობები და მოხსენებანი, დამფუძნებელი კრებას პარლამენტის ან მთავრობის წევრის მიერ თანამდებობრივ დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა შეტანილ იქნეს დამფ. კრების, ან პარლამენტის პრეზიდიუმში. სისხლის სამართლის წესით დევნას სენატის თავმჯდომარის, მისი ამხანაგების, და სენატორების წინააღმდეგ აღძრავს საქართველოს სენატორების საერთო ყრილობა. მომრიგებელ მოსამართლეთა, ოლქის სასამართლოს წევრთა, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის და სხვათა წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის დევნას აღძრავს საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულო. საპროკურორო ზედამხედველობის პირის თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნას აღძრავს იუსტიციის მინისტრი. თანამდებობრივ დანაშაულისათვის ყველა მოხელე, დამფუძნებელ კრების, ან პარლამენტის წევრის გარდა, სისხლის სამართალში უნდა მიცემულ იქნეს სასამართლოს პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის მიერ. დამფუძნებელ კრების, ან პარლამენტის წევრი თანამდებობრივ დანაშაულისათვის სამართალში უნდა მისცეს დამფუძნებელი კრების, ან პარლამენტის დადგენილებით. საქმე დამფუძნებელი კრების, ან პარლამენტის წევრის შესახებ პროკურორის დასკვნით უნდა წარედგინოს იუსტიციის მინისტრის საშუალებით დამფუძნებელ კრებას, ან პარლამენტს. დადგენილება თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრისა, სასამართლოში მიცემისა, ან ასეთ საქმის მოსპობისა, უნდა ეცნობოს ბრალდებულის უფროსს, ან იმ დაწესებულებას, სადაც ის მსახურობს. მასვე ეცნობება აგრეთვე სასამართლოს საბოლოო განაჩენი. მოქმედ კანონით დადგენილი წესი სადისციპლინო სასჯელთა დადებისა ძალაში დარჩეს. საჩივარი იმ ვნებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც თანამდებობრივ დანაშაულით არის გამოწვეული ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის საერთო წესს. საჩივარი უნდა აღძრულ იქნეს ექვსი თვის განმავლობაში. შემდეგ კანონ-პროექტი ვრცლად ჩერდება მოქმედი კანონების იმ პუნქტებზე, რომლებიც უნდა შეიცვალოს ახალ კანონის შემოღებით. აღნიშნული კანონ-პროექტი მოიწონა იუსტიციის მინისტრმა და იგი განსახილველად მთავრობას გადასცა. (სდხ).

სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა

სახალხო უნივერსიტეტი შეუდგა მუშაობას. ნოემბრის პირველიდან უკვე ლექციების კითხვა დაიწყება. წინანდელთან შედარებით სახალხო უნივერსიტეტის გეგმაში შეტანილია რამოდენიმე ცვლილება. ჯერ ერთი შარშან სისტემატიური კითხვა ლექციებისა ვერ მოხერხდა, რადგანაც აუდიტორიები გაფანტული იყო სხვადასხვა რაიონებში და მუდმივი მსმენელები უნივერსიტეტს არ ჰყავდა. წელს უმთავრესად მეცადინეობა ცენტრალურ განყოფილებაში იქნება, სადაც სახალხო უნივერსიტეტი მოუყრის თავს მთავარ ძალებს. იქ ლექციები სისტემატიური იქნება. განაპირ უბნებში დარჩება ძველებურად ცალკე ლექციები ან პატარ-პატარა კურსები თითო საკითხის შესახებ.

გარდა ამისა, საყურადღებოა ის, რომ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სცდილობს თვით საგანთა განაწილებაში მთელი კურსის განმავლობაში იყოს შეტანილი ერთგვარი სისტემა. ამისათვის გამგეობა ერთბაშად არ ხსნის ყველა სემესტრებს. ჯერ მხოლოდ პირველ სემესტრზე დაიწყება სწავლა, რომ უკვე მომზადებულები შეუდგნენ უფრო რთული საგნების შესწავლას. ამიტომ ამჟამად პირველ სემესტრზე იწყება შესწავლა მხოლოდ მარტივი საგნებისა, ე. ი. ისეთისა, რომელთა შესწავლასაც წინასწარი ცოდნა არ სჭირდება და რომლის მასალაც შეიძლება ლექტორმა პოპულიარულად გადასცეს სხვა დარგის მეცნიერებათა დაუხმარებლად. ამისთანა საგნებს პირველ სემესტრზე ემატება საქართველოს შესწავლა და ცნობები მუშათა საკითხის შესახებ, როგორც მსმენელებთან უფრო დაახლოვებული საგნები. ამგვარი საგნების კურსი ვარაუდით უნდა პირველ ორ სემესტრზე დამთავრდეს. მესამე სემესტრიდან დაიწყება აბსტრაქტი ხასიათის საგნები (ბიოლოგია, სოციოლოგია და სხ.) და სპეციალი საკითხები (კოოპერატიული მოძრაობა და კოოპერაცია, სოციალიზმის ისტორია, სამეურნეო ეკონომია, ევროპის რევოლუციების და თვალსაჩინო დროების ისტორია თვითოეული ცალკე).

ამას დაერთვის აგრეთვე სხვადასხვა საჭირო ცოდნის შესაძენად კურსების მოწყობა მსურველთათვის. ამ ჟამად ქართული ენისა და გერმანული ენის კურსები იქნება, მერე მიემატება სხვადასხვა სპეციალობის შესასწავლი კურსები, იმის მიხედვით, თუ რა დარგის შესწავლას უფრო მოისურვებს მსმენელთა უმრავლესობა.

მაშასადამე სახალხო უნივერსიტეტის გეგმა დასრულებულად ჩაითვლება მხოლოდ ორი წლის შემდეგ. ამ ჟამად კი მხოლოდ დასაწყისია მუშაობისა. გეგმა რთულია და ძნელი შესასრულებელი, მაგრამ გამგეობა იმედი აქვს ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა, რომ ისინი ნივთიერ და მორალურ დახმარებას არ მოაკლებენ ამ დიდ საქმეს და ეხსომებათ, რომ თუ დღეს ჯერ უნივერსიტეტის ჩანასახმა ფეხი მოიმაგრა, მომავალში მას კიდევ უფრო დიდი მზრუნველობა დასჭირდება. უამისოდ საქმის დაწყებაც არა ღირს.

გამგეობას იმედი აქვს აგრეთვე, რომ ჩვენი მუშათა ორგანიზაციები თავის დაწესებულებად მიიჩნევენ სახალხო უნივერსიტეტს და მთელ თავს გავლენას მოიხმარებენ, რომ სახალხო უნივერსიტეტს მსმენელთა რიცხვი დიდი ჰყავდეს.

X.

ბათომი.

სასურსათო დუქნების გახსნა აჭარაში. მომარაგების სამინისტროს დავალებით ცეკავშირი აწყობს აჭარის სხვა და სხვა პუნქტებში სასურსათო დუქნებს.

— **საპნის ქარხანა ბათომში.** ბ-ნ გ. ვალიანს განზრახვა აქვს ბათომში საპნის ქარხანა მოაწყოს. სათანადო პროექტი წარედგინა ქალაქის თვითმართველობას.

— **აფერისტ ოსმალოს შეპყრობა.** ამას წინეთ ქობულეთში დატყვევებულ იქნა ოსმალეთის ქვეშევრდომი ჯაბდულ მამედ-ოღლი, რომელმაც მოტყუილებით შეიძინა რამდენიმე იარაღი. ადგილობრივმა მილიციამ ხსენებული პირი ოლქის სატუსაღოში მოათავსა და საქმეები პროკურორს გადასცა.

— **ფრანგი მწერალი აჭარაში.** 9 სექტემბერს ქვედა აჭარაში გაემგზავრა საფრანგეთის მწერალი ქალი ლეიტ. წერეთელის თანხლებით, ადგილობრივ მდგომარეობის გასაცნობათ.

— **საბინაო კრიზისი.** განათლების საქმეთა რწმუნებული ბ-ნი კალე ქავთარაძე აცხადებს, რომ ბინების უქონობის გამო მას დღემდის საშუალება არ აქვს სასწავლებლებში ნორმალი სწავლების დასაწყებათ. საბინაო კომისიას დღემდის მასწავლებლებთათვის და საერთოდ სამსახურო უწყებისათვის არც ერთი ბინა არ მიუცია, გარდა თითო ოროლა ოთახისა. საბინაო კომისიის თავმჯდომარის სიტყვით ამჟამად დასაბინავებელი დარჩა სულ 490 კაცი. სახელმწიფო საზოგადო უწყებათა მოხელე-მოსამსახურეთ და აგრეთვე 4 სახელმწიფო უწყებას ბინა არ აქვს. საბინაო კომისიის აზრით ხსენებულ მოხელეთა და და-

წესებულებათა დაკმაყოფილების შემდეგ სარკვიზიციო კომისია გაუქმებული იქნება. უბინობის გამო გადასახადთა ინსტრუქციაში მუშაობა წესიერად ვერ სწარმოებს. ადმინისტრაციის ინსპექტორის პოლკ. სულაქველიძეს ოლქის ინჟინერი ბ-ნი გიორგობიანი აუწყებს, რომ ოლქის მილიციის, ქალაქის მილიციის და პირველ სამილიციო უბნის, ბინები სრულიად შეუფერებელია სადგომად და ზამთარში მათში ხსენებულ დაწესებულებათა დარჩენა ყოვლად შეუძლებელია.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა მეორე კონფერენცია

24 ამ თვეს თფილისის 1-ლ ქალთა გიმნაზიის შენობაში გაიხსნა სრულ. საქ. მასწ. მეორე კონფერენცია, რომელზედაც გამოცხადდა 17 ორგანიზაციიდან ცხრა ორგანიზაციის წარმომადგენელი. კრება გახსნა მასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბურჯანაძემ. მან მოკლეთ გააცნო კრებას კონფერენციის სასწრაფოთ მოწვევის მიზეზი და წინადადება მისცა კრებას აირჩიოთ კონფერენციის პრეზიდიუმი. ხმის უმრავლესობით თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგობიანი და მდივნად პ. ჭანიშვილი. დღის წეს რიგში დაისვა მხოლოდ ორი საკითხი: საბჭოს გამგეობის მოხსენება და მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს. გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბურჯანაძე მან აღნიშნა დღიდან საბჭოს მოქმედება მისი არჩევისა. საბჭოს მუშაობა გამოიხატება შემდეგში: საბჭომ მიმდინარე წელში მოაწყო დაავათმყოფებულ მასწავლებელთათვის აგარაკი წანგლისში, რომლის შეკეთება საბჭოს დაუჯდა მთავრობის დახმარებით 150,000 მანეთამდე. ამას გარდა გამგეობამ ყურადღება მიაქცია გამომცემლობის საქმეს. გარდა ჟურნალ „განათლებისა“ საბჭომ მოახერხა მეორე ჟურნალის „სკოლა და ცხოვრების“ გამოცემა, რომლის 4 ნომერი უკვე გამოვიდა. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მასწავლებელთათვის კოოპერატივის გასახსნელად დახმარების მიცემის შესახებ. გამგეობამ მიიღო მთავრობისაგან 1 მილიონი ძირითადი თანხისათვის და 10 მილიონის მიცემას კი შეჰპირდა სესხის სახით. ამას გარდა საბჭო განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რის შესახებ ის მიმართავდა ყოველგვარ საშუალებებს. ყველა ის დამატება, რომელსაც ღებულობენ დღეს მასწავლებლების ცხოვრების გართულების გამო, შეიქნა უმნიშვნელო და უკანასკნელად აღეძრათ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების თანხლებით, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო და ამის გამო იძულებული შევიქენით მოგვეწვია სასწრაფოთ ეს კონფერენცია. მოხსენების გათავების შემდეგ იყო შეკითხვები. ამით დასრულდა დილის სხდომა და მეორე საკითხის განხილვა გადაიდო საღამოს სხდომისათვის.

ნოდე.

მიმართვა

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობისა ქართულ-რუსულ წიგნების ავტორებისა და გამომცემლებისადმი.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა თავისი მცირე საშუალებით ქ. ახალსენაკში ინახავს სახალხო უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. დიდი ხანია მას გახსნილი აქვს ეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და უმრავლესობა იმ წიგნებისა, რომელიც მას შეძენილი ჰქონდა უწინდელ დროში, დღეს ხმარებისა თუ სხვა მიზეზებისა გამო ისე დაძველებული და დახეულია, რომ მათი კითხვა შეუძლებელია, ხოლო ნაწილი ამ წიგნებისა მკითხველთა ხელში დაკარგულია და სამაგიეროს შოვნა, მიუხედავათ გამგეობის დაბეჯითებითი თხოვნა-მუდარისა, შეუძლებელი გახდა. ასე რომ დღეს ეს ბიბლიოთეკა ძალიან ღარიბია საკითხავი წიგნებით. ხოლო მოთხოვნილება წიგნებისა ძალიან დიდია; ამ მოთხოვნილებამ საგრძნობლათ იმატა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დადგა ახალი ხანა ხალხის განვითარებისა საერთოდ და კერძოთ კი მას შემდეგ, რაც ადგილობრივ გაიხსნა სამი საშუალო სასწავლებელი და მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლებში და საერთოთ წიგნების მკითხველთა რიცხვის რაოდენობა ბოლო ხანებში საგრძნობლად გადიდდა. ვინაიდან თვითონ გამგეობას ძალიან მცირე ნივთიერი საშუალება მოეპოვება თავის არსებობისთვის და რაც მას აქვს, ის ძლივს ყოფნის ყოველდღიურ სხვა და სხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთების შეძენას უფასო სამკითხველოსათვის,—ამიტომ საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა აძლევს თავისთავს ნებას მიმართოს ქართულ-რუსულ წიგნების ყველა პატივცემულ ავტორებს და გამომცემლებს უმდაბლესი თხოვნით, რათა მათ კეთილ ინებონ და გამოუგზავნონ მას უფასოდ სენაკის სახალხო უფასო ბიბლიოთეკისათვის თავიანთი შედგენილი თუ გამოცემული თითო-ცალი ყოველნაირი წიგნი-სასწავლო, სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სახალხო და კაზმულ-სიტყვიერების ნაწარმოებნი და სხვები, როგორც ახალ დაბეჭდილი, ისე ძველი. თითო ცალი წიგნის გამეტება პატივცემულ მათ ავტორებს და გამომცემლებს არას დააკლებს, ხოლო სენაკის უფასო ბიბლიოთეკას ამით ბევრი შეემატება, ფეხზე წამოდგება და მისი დანიშნულების შესრულებას შესძლებს და ამით კი ისინი ხელს შეუწყობენ ცოდნა-განათლების გავრცელების საქმეს ფართო მასსაში, გამგეობა დარწმუნებულია, რომ პატივცემული ქართველი მწერლები და გამომცემლები ყურად იღებენ ამ თხოვნას, თანაგრძნობით შეხვდებიან მას და არ დაიშურებენ თავიანთი გონებრივი ნაწარმოების თითო-ოროლა ცალის გამოგზავნას ღარიბ ბიბლიოთეკის სასარგებლოთ.

მისამართი: ქ. ახალ-სენაკი. წ. კ. საზოგადოების გამგეობას.

—

გამგეობა სთხოვს ყველა გაზეთების და ჟურნალების რედაქციებს, გადაბეჭდონ ეს წერილი თავის გაზეთის, თუ ჟურნალის უახლოეს ნომერში.

გამგეობა.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, ამხ. ს. ვადაჭკორიას თავმჯდომარეობით შესდგა მე 4 რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან; 2) ახალგაზრდა მარქსისტთა განცხადება; 3) საზოგადო კრების მოწვევა; 4) ახალი კლუბის აშენება; 5) წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შესახებ. პირველი კითხვა თფილისის კომიტეტის წარმომადგენლის დაუსწრებლობის გამო მოიხსნა. მეორე კითხვის შესახებ სხდომა ამტკიცებს ამხ. გ. თაყაიშვილის მანდატს, რომელიც არჩეულ იქნა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მიერ კოლექტივში და უთმობს საქ. ახალგ. მარქ. რაიონულ ორგანიზაციას ბინას მუშაობის გასაჩაღებლათ. მესამე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს: საზოგადო კრება მოწვეულ იქნას ხუთშაბათს, საღ. 6 საათზე, რომელზედაც ამხ. კ. გვარჯალაძე გააკეთებს მოხსენებას ცეხის მუშათა მდგომარეობის შესახებ. მეოთხე კითხვის შესახებ სხდომა ისმენს ამხ. გ. მაჭავარიანის მოხსენებას რაიონისთვის ახალი მუშათა კლუბის აშენების შესახებ და ადგენს, ამ მიზნით გამოყოფილ იქნეს სამი პირის მიერ შემდგარი კომისია, რომელიც მიიღებს ყოველივე ზომებს განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის. არჩეულ იქნენ: გ. მაჭავარიანი, ს. ვადაჭკორია და გ. უხენაშვილი. მე 5 კითხვის შესახებ სხდომა ავალებს გ—ბ ს—ბის გამგეობას მომავალ სხდომაზე გააკეთოს ვრცელი მოხსენება სამკითხველოს მდგომარეობისა და კოლექტივისა და გამგეობის დემოკრატიზაციის შესახებ.

X.

თელავი. 17 ოქტომბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. თელავის ორგანიზაციის კრება. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) პარტიული მუშაობა, 2) მიმდინარე საკითხები. კრება იხსნება ს. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით. მიღებულ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია პარტიული მუშაობის გასაცხოველებლათ. დამფ. კრების წევრმა ამხ. დ. ჩხეიძემ მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე. მან აღნიშნა რესპუბლიკის ეკონომიურ და სასურსათო მდგომარეობის გამწვავების მიზეზები და იმედი გამოსთქვა, ყველა მიზეზები დაძლეულ იქნება. მოხსენება საინტერესო იყო.

ამავე დღესვე შესდგა თელავის სამაზრო კომიტეტის კრება ს. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით. კომიტეტის კრებამ მიიღო ღონისძიებანი პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლათ სოფლათ. კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნას სამაზრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა 31 ღვინობისთვეს. ამისთვის მზადებას უკვე შეუდგა კომიტეტი.

ალ. ჩიტოშვილი.

მუშათა შორის

ბათომი. ბათომის ნავთსადგურებში ერთი დიდი საწყობია, რომელშიაც რკინის გზის ხაზია გაყვანილი, სახელდობრ „რუსის საზოგადოება“. რკინის გზის სამმართველოს ამ დაწესებულებაში ყავს 50-თი მუშა მოსამსახურე, რომელთა მოვალეობას შეადგენს სხვადასხვა ვაგონებიდან მოტანილ საქონლის მიღება, ვაგონებში დატვირთვა-გადმოტვირთვა და სხვა საკანტორო საქმეები. იქ ისე დღე არ გაივლის, რომ რაიმე აყალ-მაყალს არ ქონდეს ადგილი. აქ საქმე შემდეგშია, ვაგონების დამტვირთავ გადამტვირთავი მუშები, რომლებიც რკინის გზიდან ჯამაგირს ღებულობენ, ვერ კმაყოფილდებიან ჯამაგირით და საქონლის მეპატრონეებს ფუთზე 10 და 12 მანეთს ახდევინებენ, ამით საქონლის მიმღებ-გამგზავნელები უკმაყოფილო არიან და ბევრი მათგანი საჩივარს აცხადებს და ამბობენ: მუშების ფულს რკინის გზა გვახდევინებს (ეგრეთ წოდებული პადნოსკას) და მუშები კიდევ ცალკეო. ამ გარემოებას რკინის გზის აგენტმა დომენტი კუპაიძემ და უფროსმა მილიციონერმა ჩიგოგიძემ ყურადღება მიაქციეს, მათ დაიბარეს უფროსი მუშა, გ. ანდღულაძე და ჰკითხეს, თუ რატომ ახდევინებენ საქონლის გამგზავნელებს ფულს, როცა მათ ამის უფლება არა აქვთ, როგორც რკინის გზიდან დაქირავებულ მუშებსო. უფროსმა მუშამ თავი იმით იმართლა, რომ ის მცირე ჯამაგირი, რომელიც რკინის გზიდან გვეძლევა, ერთი უბრალო ტყავის წუღის ფულია, ამიტომ ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია 8 საათის განმავლობაში 18, 20 ფუთიანები ზურგით ვათრიოთო და ამიტომ ვახდევინებთ ზედმეტს და ამას არც ვმალავთო.

მართალაც, ამ დარგში მუშაობა ძლიერ მძიმეა. ის ჯამაგირი, რომელსაც აქ მომუშავენი ღებულობენ დღიურათ, უმნიშვნელოა. ის სამუშაო კი, სადაც ეს მუშები მუშაობენ აუცილებლათ კაი სამჭამას მოითხოვს, რომ მან მთელი დღეს შესძლოს კიდევ 18, 20 ფუთიანების ვაგონში შეტან-გამოტანა. ამიტომ რკინის გზის სამმართველომ რაიმე გზა უნდა გამონახოს, რომ მუშებს და საქონლის მეპატრონეებს შორის ჩივილს ადგილი არ ჰქონდეს.

ოფო—ლი.

—

ქ. ბორჯომი. ქ. ბორჯომის ყველა უწყების მუშა-მოსამსახურენი განიცდიან ძლიერ ბინის კრიზისს. ამავე კრიზისს განიცდიან ბორჯომის მამულების საწარმოვო დარგში მომუშავე მუშა-მოსამსახურეები. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ბორჯომში საერთოდ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა, ხოლო ახალი ბინები კი არ აშენებულა. მუშა-მოსამსახურეთათვის ბინების განაწილებაც ისეთი დარჩა, როგორც უწინ იყო: მოსამსახურეთა ერთი ნაწილი ბინის მხრით პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფება. ასეთი პირები სარგებლობენ ამით და აგარაკების სახით აქირავებენ თავის ბინის ნაწილს, ასეთი საშუალებით ათასებს იღებენ. ასეთი ფაქტები მრავალია. მუშა მოსამსახურეთა დანარჩენი დიდი ნაწილი ბინის მხრით დღეს კრიზისს განიცდის და რამდენ ხანს გაგრძელდება ესეთი მდგომარეობა—ეს გამოურკვეველია. თანახმად კავშირების მოთხოვნილებისა, იყო მიწერილობა მამულების გამგის სახელზე მიწათ მოქმედების სამინისტროდან, რომ არსებული ბინები ყოფილიყო განაწილებული რიგზე და მასთან შედგენათ ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა მუშა-მოსამსახურეთა ბინებისთვის 2 დიდი შენობას ასაგებათ. მაგრამ არც ერთის და არც მეორის შესასრულებლად პრაქტიკულ საქმიანობას ვერ ვხედავთ. და თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდა ასეთი უყურადღებობა, უბინაობით შექმნილი მძიმე მდგომარეობა ამ ზამთარში უფრო გამწვავდება, რაც არ არის სასურველი წარმოების ნორმალურ მსვლელობისთვის. სწავლა-განათლების საქმეც ცუდათ არის დაყენებული მუშათა უბანში, რაც ძალიან ხელს უშლის სწავლა-განათლების გავრცელებას ახალგაზრდა მუშათა წრეში.

სოციალისტურ დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლით და ბორჯომში გამოვლით ქ. ბორჯომის და რაიონის მუშები და მოსამსახურენი და მშრომელი გლეხკაცობა ძლიერ მოხარულნი დარჩნენ.

ადგილობრივი მუშათა მაგიდა ჯერჯერობით არსებულ პირობებში ნორმალურად მუშაობს, მხოლოდ არის დაბრკოლება ცენტრიდან ხანდახან კუთვნილ სურსათის გამოუგზავნელობის გამო, მაგრამ არის იმედი ესეც გამოკეთდება.

ვ. მატრონეხშვილი.

პროვინცია

ს. მარტვილი არა ერთხელ იყო აღნიშნული პრესაში, რომ მარტვილის რაიონი რამოდენიმე ათეულ ვერსტით არის დაშორებული სამაზრო ქალაქ სენაკიდან, რაიც ძლიერ ხელს უშლის ხსენებულ რაიონის მართვა-გამგეობის სასურველ ნიადაგზე დაყენებას. მარტვილის რაიონის მცხოვრებნი ძლიერ ღარიბნი არიან მატერიალურად და მათ საშვალება არა აქვთ თავიანთი შვილებს შესაფერისი მზრუნველობა გაუწიონ ცოდნის მიღების საქმეში. ამიტომ აქ დაარსეს ახალი ტიპის რვა კლასიანი გიმნაზია. წელს ამ გიმნაზიაში გაიხსნა მეოთხე (ძველებურათ მერვე) კლასი. აქ თავს იყრის ბანძის, აბედათის, კიწიის, სალხინოს, ნაგვაზოვოს და მარტვილის ორი პარალელური ქალ-ვაჟთა უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლების კურს დამთავრებული ახალგაზრდობა. საშუალო განათლების მისაღებათ ისინი აქ მოდიან და ეს რომ არ იყოს, ყველანი სკოლის გარეშე დარჩებიან. მთავარი გამგის ბ. დანელიას განცხადების თანახმად, სწავლა აქ სასურველად მიმდინარეობს. მაგრამ აქ მთავარია: როგორ უნდა იარსებოს გიმნაზიამ? დღემდე მას თვით ხალხი ინახავდა, მაგრამ უკანასკნელად ის იძულებულია ხელი აიღოს ამ გიმნაზიის შენახვაზე, ვინაიდან ხალხს ამის საშვალება არა აქვს. ბევრი ეცადა მარტვილის რაიონი, რომ გიმნაზია სახელმწიფო ხარჯზე მიეღოთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ მიაღწია. სენაკის მაზრის ვერ დააკმაყოფილებს ერთი (სენაკის) გიმნაზია. ამიტომ სასურველი და აუცილებელია რომ მარტვილის გიმნაზიის შესაფერისი დახმარება აღმოუჩინონ. ყოველივე ეს გაითვალისწინა მარტვილის გიმნაზიის გამგეობისა და მშობელთა წრემ და დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას სამაზრო ერობის წინაშე, რათა მარტვილის გიმნაზია მიიღოს თავის ხარჯზე. ეს მით უმეტეს უნდა მოხდეს, ვინაიდან მარტვილის რაიონიდან (ახალ მთა, ლებარდე-ჩეგვალა) აგარაკებიდან და თურქუ ქვიბის ხე-ტყიდან) მილიონობით შემოსავალს ღებულობს ერობა. მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი სამართლიანი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება. სასურველია უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთან გაიხსნას სამეურნეო განყოფილება და მოწაფე ქალებს პრაქტიკულ საკლასთან ქონდეთ საფეიქრო დაზგები.

სამაზრო ერობას განზრახული აქვს მდ. აბაშაზე ხიდის გაკეთება. ეს აუცილებელია სენაკისა და მარტვილის რაიონების დასაახლოვებლათ და ურთიერთობის გასაუმჯობესებლათ. იმედია ეს განზრახვა სისრულეში იქნება მოყვანილი. ყოვლად დაუშვებლად და უხერხულად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მარტვილის გამომძიებელი ბანძაში სცხოვრობდეს. მას რეზიდენცია მარტვილში უნდა ქონდეს, როგორც ცენტრში. იმედია ამას ყურადღებას მიაქცევს, ვისაც ჯერ არს.

გ. მარტვილელი.

—

ს. ხაჭმიათი. 11 ოქტომბერს სახემისერის თემს ეწვია დამფუძ. კრების წევრი ის. რამიშვილი. მან დაათვალიერა თემის გამგეობა, საავათმყოფო პუნქტი, კოოპერატივი და ოთხ კლასიანი და ორ კლასიანი სასწავლებლები. ამ დღისათვის მოწვეული იყო მიტინგი, რომელიც მიუხედავად კოკის პირული წვიმისა, მაინც შედგა და ხალხი საკმაოთ დაესწრო. დღის 3 საათზე კრება გახსნა თემის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ყენიამ. ის. რამიშვილმა აუხსნა ხალხს საქართველოს ისტორია 1801 წლამდე. შეეხო საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანას, რუსეთის დიდ რევოლიუციას საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებას და ამის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას. შემდეგ დაახასიათა დამფუძნებელი კრების და მთავრობის მუშაობა დღემდის და ის მძიმე პირობები, რომელშიაც მათი მუშაობა სწარმოებდა. ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: კრებამ მოისმინა რა დამფუძნ. კრების წევრის ის. რამიშვილის მოხსენება საქართ. დემოკ. რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ, იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მიესალმება დამფუძნებელ კრებას და უსურვებს მას მეტსა და ნაყოფიერ მუშაობას მშრომელთა კლასის საკეთილდღეოთ. ამით საზოგადო კრება დახურული იქნა.

ამის შემდეგ გაიმართა სოც.-დემ. პარტიის წევრთა კრება. ისიდორემ აქაც ილაპარაკა პარტიის მოვალეობაზე და მის საქმიანობაზე, მრავალი რჩევა (დარიგება მოგვცა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და საერთო მუშაობის ფერხულში ჩასაბმელათ. მან, როგორც საზოგადო კრებაზე, ისე პარტიის წევრთა კრებაზე ნათლათ გაგვაცნო საზღვარ გარეთელი სოციალისტური დელეგაციის აზრი საქართველოზე. პარტიულ კრებას ისიდორემ უსურვა მეტი ნაყოფიერი და ენერგიული მუშაობა. ამით კრება დაიხურა.

აქ რთველი უკვე დაიწყო, მაგრამ ხანგრძლივმა წვიმებმა ყოველივე გააფუჭა. ყველაზე მეტი ზიანი მიაყენა „ადესა“ ყურძენს, რომლის იმედი ხალხს ქონდა, სარჩოს იმისგან მოელოდა, ხეზე სულ ჩამოლპა.

ს. მთისძირელი.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ № 233 №-ში იყო მოთავსებული წერილი ვინმე. მ. საწალიკელისა, რომელიც უთუოდ საქმის ვითარების უცოდინარობით შეეხო ჩემს პიროვნებას. რამდენად სწორი და მართალია ყოველივე ის, რაც ხსენებულ წერილშია მოყვანილი—დავინახავთ შემდეგით: 26 ოქტომბერს ჩემთან შემოვიდა დაშავებული მუშა მეტრეველი და მოითხოვა თანახმად შრომის მინისტრის რწმუნებულის (ქიათურაში) წერილისა, მიმეცა დაუყონებლივ დაახლოვებით 120,000 მ. ნ., რაც ვითომ და ერგებოდა მას პენსიის სახით 1919 და 1920 წლ., თანახმად „ახალი კანონისა. მე მას უპასუხე, რომ ეს კანონი სრულიად ახალია ჩემთვის და არ ვიცი ამ კანონის მიხედვით, რომელი წლიდან ვართ ვალდებული მივსცეთ მას ჯილდო, ჩვენ ხელშეკრულება (мировое соглашение) გვაქვს თქვენთან (ე. ი. მეტრეველთან) დადებული, ისე როგორც ყველა დაშავებულ მუშებს აქვთ მეწარმეთა საბჭოსთან და სანამ ახალი კანონი გამოირკვეოდეს, უნდა დაკმაყოფილდეთ იმით, რაც გერგებათ თანახმად ხელშეკრულებისა; გავეცნოთ, ამ კანონს შევეკითხები მეწარმეთა საბჭოს და შემდეგ შეგვეძლია დაგაკმაყოფილოთ-თქო. ჩემმა პასუხმა მეტრეველი ძლიერ გააგულისა: როგორ თუ თქვენ არ ემორჩილებით შრომის სამინ. რწმუნებულსო? ამოიღო გაზეთები, სადაც ეს კანონი იყო დაბეჭდილი და მიმტკიცებდა, რომ ეს კანონი მისი მონაწილეობით არის შემუშავებულიო, რომ იგი ძალიან კარგათ იცნობს მინისტრებს, რომ ისინი მისი მეგობრებია და სხვა. ბოლოს მე შევპირდი მეტრეველს, რომ თფილისში, სადაც მივდიოდი საქმეების გამო, სხვათა შორის ამ კითხვასაც გავეცნობი და მივცემ პასუხს თფილისშივე. მან მომცა თავისი მისამართი და ამით დავშორდით ერთმანეთს.

მას შემდეგ მე შევეკითხე ამ საქმის შესახებ მეწარმეთა საბჭოს საქმეთა მმართველს და ვსთხოვე გამოერკვია ეს კითხვა შრომის სამინისტროში და მან გადმომცა, რომ მეტრეველის მოთხოვნილება, რომელიც შეეხება 1919 წელს, კანონიერი არ არის და საზოგადოთ ამ კითხვის შესახებ ჩვენ მოგვივა განმარტება შრომის სამინისტროდან. როგორც ვსთქვით, არსებობს ხელშეკრულება ჩვენსა და მეტრეველს შორის და მას შეუძლია ყოველ დროს, როცა მოისურვებს, მიიღოს რაც მას ერგება ხელშეკრულების ძალით. მართალია, ეს თანხა დღეს უმნიშვნელოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასეა და თუ არ სურს, შეუძლია მოიცადოს იმ დრომდე, ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ ჩამოყალიბდება და გადასწყდება იმ 2000 დაშავებული მუშის საქმეც, რომელთაც უნდა მიეცეს მეწარმეთა საბჭოსაგან ჯილდო. როგორც მკითხველი ხედავს, ეს საკითხი არ არის უბრალო და თუ ამის გამო რწმუნებულის წერილის მიღებისთანავე ვერ დავაკმაყოფილე მეტრეველი, ცხადია, ეს არ არის უბრალო და თუ ამის გამო რწმუნებულის წერილის მიღებისთანავე ვერ დავაკმაყოფილე მეტრეველი, ცხადია, ეს არ არის აბუჩად აგდება მუშების და მათი წარმომადგენლისა. რაც შეეხება ცნობას საწალიკელისას, ვითომც მე მეთქვას მეტრეველისთვის „რის რწმუნებულათ, რა რწმუნებული, ჩემთვის ეს სავალდებულო არ არის“ სიმართლეს არ შეეფერება, რასაც ამტკიცებს ჩემი წერილი, რომელიც მივსწერე იმ დღესვე შრომის სამინ. რწმუნებულს და რაც თვით მეტრეველმა 16 ოქტომბერს, ე. ი. კორესპონდენციის დაბეჭდვის შემდეგ, ჩვენს კანტორაში პირადათ აღიარა კ. ნანეიშვილის და გ. ქავთარაძის თანდასწრებით, რომ მე არ მიხმარია ზემო მოყვანილი ფრაზები.

ა. გრიგოლაშვილი.

რედაქტორი დავით ნათაძე.

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

ვასწავლი ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ

მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის

მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მაჩაიძის ბინა. (3333 10—10)

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების (ნევლებლინი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 4—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი

მ. ა. შაჰრანი

სპეციალურად სიფილისი და კანის დაგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 [illegible] მისამართი [illegible] № 22. 21 ნოე.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი ვაქცინოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

ე. მ. მძინარიშვილისა

შეშხაპუნება „606“ და „914“. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირჩის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმი

მ. ი. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5, ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. [illegible] № 75 [illegible] ტელეფონი 7—33. (16—ნოემ.)

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბუხჰალტერო კურსებზე

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ოქტომბერს, საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12—
საათამდე [illegible] სასკოლო განყოფილებისაგან. (ეროვნულ
საბჭოს ქუჩა, 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩა).

(3303—3—3)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვისა-ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი

გ. ი. ოკროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფ. საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ., საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი

ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ ზედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი

დავით ლუკას ძე

კილურაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ღებს ავადმყოფ. დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურად სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ენდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით, პარალელურად). მიღება დილით 9—11 (ს საღ. 4-ის 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“) ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი [illegible]. მიღება: დილის 10 1/2—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი

პ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი, კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოს 6—7 1/2 საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16 ნოემ.)